



გლობული

№ 122 / 4 - 10 ივნისი / 2013

- აცალები ინიციატივა რმის ვეტერანებისათვის გვ. 28
უდია ვესაუპროტ თუ არა აფხაზებსა და რსეპს? გვ. 06
მითაგი და სინამდვილე ჰისების შესახებ გვ. 44
რატომ ვკარგავთ დედებს და ჩვილებს? გვ. 30
თბილისის გამოვალების თაორნამა გვ. 32

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი


"ოსნების" 100 ელემენტი

תְּרֵשֶׁבֶת

ԻՆՉ ԵԱԲՐԵ ՏԱԹՎԱԾՈ

ԿՈՅԵԼ ԱԿԱԴԵՄԻ 22:00

საქართველოს მთავრობა, პირებ
ყოველთვის კესე
სამაცხოვ.



გთავარი რედაქტორი

შორუმის შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორი

ლიკა ხაკშვილი

ირაკლი ასაძე

შურალისათები:

ზურაბ გარდაშვილი, თათა ხალანი,
ან ჭანოტაძე, თინა ყიფშძე, გორგი
გოგუა, გორგი ჭეიშვილი, სოფო
აფასაური, ეკა მაღალდაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქავთარაძე ლვედაშვილი

პოლიტიკური:

სილვა შტრიბერი, ირაკლი
მაჭარაშვილი, იუსტინა მელნიკივიჩი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხულიძე

გრაფიკული დაზარი

თორნიკე ლირთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათა ორმოცაძე

გამოცემლება:

დირექტორი

ქეოვან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და პიზნების

განვითარების მინისტრი

რუსულ ბარათაშვილი

გაყიდვების მინისტრი:

ქეოვან ქავთარაძე

გარემონტინის მინისტრი:

ა შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ფურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკაშირი: 247 10 05.

რედაქტორის სვეტი



ზამთრის არდადეგების შემდეგ, თქვენ ნინაშე „ლიბერალის“ პირველი ნომერია, მთავარი თემით – „ოცნების“ 100 დღე“. ანალიზისათვის შევარჩიეთ ის თემები, რომელიც ბოლო 3 თვის მანძილზე განსაკუთრებით მწვავე და მნიშვნელოვანი იყო და შედგად მიეღოდეთ ექვსი სტატიის ერთობლიობა თვითმმართველობაზე, საგარეო პოლიტიკაზე, მართლმასჯულებაზე, ჯადაცვის რეფორმაზე, კულტურის პოლიტიკას და ქვეყნის საგარეო ხედვაზე.

ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლება და თავდაცვის სფერო, თუმცა განათლებაში გია დგალის რეფორმების კომისიის გარდა, რომელზეც არაერთხელ დავწერეთ და გავიხარეთ, მნიშვნელოვანი თითქოს არაფერი მომხდარა. მანდატურების ახალ ფორმებზე გამოცხადებული კონკურსით კი ნამდვილად არ აღვიროთოვანებულვართ.

თავდაცვის სამინისტრო რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივით გამოვიდა, მათ შორისაა ვეტერანთა უფლებების დაცვისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის მომზადება – „ქვეყანა ფასდება იმით, თუ როგორ უცვლის საკუთარ გმირებს, ომში დალუპულ გმირებს, მათ ოჯახებს და ვეტერანებს“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ და გიორგი ჭეიშვილიც წერს ამ თემაზე ახალ ნომერში. თუმცა, მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილებები და თავდაცვის ახალი კონცეფციის შემუშავება ჯერ წინ არის.

პოსტ-საარჩევნო პოლიტიკურ კაკაფონიას, მე პირადად, სულ უფრო და უფრო უხალისოდ ვადევნებდი თვალს და ვერ ვხდებოდი, რითი იყო არსებითად საინტერესო „ნაციონალური მოძრაობის“ რევანშისტული კამპანია, პრემიერის რიტორიკული აღრევები ან ხელისუფლების გადაწყვეტილებების ეკლექტურობა. ამის მიუხედავად, 100 დღიანი საორიენტაციო პერიოდის გასვლის შემდეგ, „ლიბერალი“ კვლავ შეეცდება კრიტიკულად შეაფასოს ახალი პოლიტიკური რეალობა.

შორუმის შავერდაშვილი



"ოსნების" 100 დღე

კრიტიკის გარეშე 100 დღე პირველად მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ამერიკის პრეზიდენტად არჩეულ ფრანკლინ რუზველტს მისცეს. ეს იყო ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმება პოლიტიკასა და მედიას შორის, რომელსაც პრეზიდენტის თვის პირველ საკადრო გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში მეტი თავდაჯერებულობა უნდა მიენიჭებინა. შურალისტებისგან ინიცირებული ეს დაუწერელი კანონი შემდგომში ოპოზიციამაც გაიზიარა. ინტერნეტის ეპოქაში რთულია ჯენტლმენური შეთანხმებების დაცვა. სოციალურმა მედიმზ ყველა აქტიური მოქალაქე შურალისტად აქცია, შურალისტებს კი სულ უფრო გვიმძაფრებს აქტივისტობის, პროცესში მონაწილეობის ცდუნებას.

„ლიბერალი“ ახალ მთავრობას ამ 100 დღის განმავლობაშიც აკრიტიკებდა, ოლონდ ინტერნეტიდან. ბეჭდურ გამოცემაში ბოლო 3 თვის უფრო სილრმისეულ ანალიზს გთავაზობთ. ის, რაც ჩვენ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დავინახეთ – „ოცნების“ 100 დღე.

83.12

ჩატო ვაჟაბავთ დაეხას ეს ჩვილებს?

საქართველოში დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს ისევ აღემატება. სახელმწიფო ორსულობის პერიოდში ექიმთან ოთხ ვიზიტს აფინსებს, რაც მხოლოდ ფიზიოლოგიური, გართულებების გარეშე მიმდინარე ორსულობის დროსაა საკმარისი, მაგრამ თუ ორსულობა რისკს შეიცავს, მაშინ დამატებითი ვიზიტები და სერვისებია საჭირო.

თინა ყიფშიძე
83.30

“ჯვეული ფასება იმით, თუ ჩობობი უვის ბმისაბს, მათ ოჯახებს და ვატებანებს”

თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ვეტერანთა პრობლემების გადაჭრის, მათი საჭიროებების დადგენისა და სოციალური უფლებების დაცვისთვის ახალი სამთავრობო კომისია შეიქმნა. კომისიამ, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ხელმძღვანელობს, მუშაობა 2013 წლის 12 იანვარს დაიწყო. რამდენიმე დღეში საქართველოს პრეზიდენტმა 17 იანვარს საზოგადოებას ახალი საკანონმდებლო ინიციატივები წარუდგინა, მათ შორის კანონპროექტი, რომელიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგება, სამხედრო მოსამსახურებისათვის სოციალური გარანტიების შექმნას შეეხება. რამდენად ეფექტურად მოახერხებს ხელისუფლება ვეტერანთა უფლებების დაცვას, სავარაუდოდ, მალე გამოჩენდება.



გორგი ჭეიშვილი
83.28

მითი და სინამდვილი ჰუსტონის შესახებ

ირაკლი მაჭარაშვილი აღწერს იმ საფრთხეებს, რაც დერივაციული ჰქესების მშენებლობას მოჰყვება და იმ მითების შესახებ საუბრობს, რაც ჰქესებთან დაკავშირებით ჩვენში დამკვიდრდა. მითია ის, რომ დერივაციული ჰქესები ბუნებისადმი მეგობრული ჰქესებია; ისიც, რომ ასეთი ჰქესები არ იწვევს კლიმატის ცვლილებას, ისიც, რომ ჰქესების მშენებლობა მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის; და კიდევ ის, რომ თუ ჰქესები არ აშენდა, 2-3 წელიწადში საქართველოში შეიძლება 90-იანი წლების სიბრტყეში დაბრუნდეს.

ირაკლი მაჭარაშვილი
ვ3.44

ფოტოების კოლექტივი

„ჩვენი მკარღი არ იპზინება“



იუსტინა მელნიკიევიჩი
ვ3.36-43

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლევითი ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ სააგტორო უფლებები დაცულია.


შურინლში გამოქვეყნებული მსალების წარმომადგენლის და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაფლვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ თვეში. პირველი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



არაბა ლეილა ჩავალავარაძე

04 მოკლედ

ორი აზრი

- 06 უნდა ესაუბრონ თუ არა ქართველები აფხაზებსა და ოსებს შუმავლების გარეშე? ქვეყნა ციხელაშვილი vs სერგი კაპანაძე:

ინტერვიუ

- 08 სახალხო დამცველის გამოწვევები

მთავარი თემა

- 13 მართული თვითმმართველობის 100 დღე
16 მართლმსაჯულების 100 დღე
18 ჯანდაცვის 100 დღე
20 დიპლომატიური შეცდომების 100 დღე
23 ივანშვილი - 100 დღე
თანამდებობაზე
26 კულტურის პოლიტიკის 100 დღე

საზოგადოება

- 32 თბილისის გამწვანების თეორემა

ციტატები

ԵՎԵԿԱԴՐՈՅՑԸ "Human Rights Watch"-ՆԵ 2013 ԵԾՈՒ
ԱԳԾԱԿՈՒԹՅՈՒՆ



ახალმა ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა დაცვა პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მერყეოდრეობით მიღებული შემაშვილობელი მდგომარეობა, თავი უნდა აარიდოს შერჩევითი სამართლის გამოყენებას, გააძლიეროს სასამართლოს დამოუკიდებლობა და გაზარდოს გამჭვირვალეობა” – ესაა მოკლედ ის რეკომენდაციები, რასაც საქართველოს ახალ მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაცია „ცემან ლიგატს ჭატც“-ი აძლევს. „მიუხედავად უკიდურესად პოლარიზებული ნინასაარჩევნო ვითარებისა, ქვეყანამ მაინც მოახერხსა სამოქალაქო არეულობის თავიდან აცილება და ყოფილმა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა, მაგრამ ახალმა მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ძალუძს ადამიანის უფლებათა დაცვა და ძველი ხელისუფლების ნარმობადგენელთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება,“ – ამბობს „Human Rights Watch“-ის ეკროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორი ჰიუ უილიამსონი.

მშვიდობიანად ჩატარებულ არჩევნებთან ერთად ორგანიზაცია საკუთარ ანგარიშში ნინასაარჩევნო დარღვევებზეც ამახვილებს ყურადღებას და პარტიული აქტივისტების დაჭერის შესახებ წერს. თავის მხრივ, ორგანიზაცია ახალ მთავრობას მოუწოდებს კანონისა და პროცედურების სრული დაკვით მოახდინოს ყოფილი საჯარო

მოხელეებისა და პოლიტიკოსების
დაკავება ისე, რომ სასამართლო გან-
ხილვა სამართლიანი სასამართლოს
ყველა ნორმას აკმაყოფილებდეს.

ორგანიზაცია საპატიმროებში წამების
მანკიერი პრატიკის აღმოფხვრის აუ-
ცილებლობაზეც საუბრობს. „სახელ-
მწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ
მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდეს“
– წერია ანგარიშში.

Human Rights Watch"-ი მთავრობას
ადმინისტრაციული პატიმრობის
სისტემაში რეფორმის გატარებისკენ
მოუწოდებს. საქართველოს ადმინის-
ტრაციული სამართალდარღვევების
კოდექსი 90-დღიან ადმინისტრაციულ
პატიმრობას ითვალისწინებს. ანგა-
რიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა,
რომ ეს სისხლისამართლებრივ
სასჯელს უტოლდება, დაკავებული
პირები ვერ სარგებლობენ სათანადო
საპროცესო ნორმებით. კერძოდ, მათ
ხშირად არ აძლევენ საშუალებას,
ისარგებლონ საკუთარი არჩეული
ადვოკატით და ართმევენ დაცვის
უფლებას..

„Human Rights Watch“-ის ინიციატივით ეკლისუფლებამ სპეციალური უწყების შექმნის საკითხი უნდა განხილოს, რომელიც გასული წლების მართლმასაჯულების ხარვეზებს შეისწავლის.

ჩიხების მართვა



არჩევნების მეორე ტურში 54.8%-ით ჩეხეთის პრეზიდენტი მემარცხენე არიგნატაციის პოლიტიკოსი, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტ-მინისტრი მილოშ ზემანი გახდა. მისმა მოწინააღმდეგებ

საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა ხმათა 45.2% მიიღო. არჩევნებზე ამომრჩევლის აქტივობა 59% იყო.

ზემანმა პრეზიდენტის ბოსტზე ვარ-
ცლავ კლაუსი შეცვალა, რომელიც
ჩეხეთს ბოლო ორი ვადის განმავლო-
ბაში მართავდა

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩე-
ხებმა პრეზიდენტი პირდაპირი გზით
აირჩიეს. აქამდე პრეზიდენტს პარლა-
მენტი ირჩევდა. ჩეხეთში პრეზიდენტს
უმეტესწილად ცერემონიალური
როლი აქვს.

საკართველოს ვინების
პრეზიდენტის პირის აღნი
ბაკისამი

ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკინო საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, საპარლამენტო უმცირესობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

ბჟეკიკომბ სხვადასხვა საკითხებზე
ისაუბრა. ამნისტიის კანონს მან პო-
ლიტიკური გადაწყვეტილება უწოდა.
მისი თქმით, საქართველოს მთავრობა
ამ უესტით საკუთარი დაპირებების
შესრულებას კვლილობდა.

კენეციის კომისიის პრეზიდენტი მიე-
სალმება საქართველოს პარლამენტის
გადაწყვეტილებას და მზადყოფნას,
რომ კონსტიტუციაში ცვლილებების
შეტანამდე ვენეციის კომისიის რეკო-
მინდაციაში დაილოდაბიან.

„რაც შეიძლება სამართლიანი, თა-
ნაბარი კოჰაბიტაცია უნდა იყოს და
ყველას მიეცეს საშუალება, როგორც
ხელისუფლებას, ისე პოზიციას, თა-
ვისა როლი შეასრულოს. რეფორმები,
როგორც ინიცირებული, ისე დაგეგ-
მილი, თანაბრად და ეტაპობრივად
უნდა განხორციელდეს“, — თქვა მან.
მედიისთვის გამრთულ შეხვედრაზე
ბუკიკიომ აღნიშნა, რომ იუსტიციის
საბჭოს წევრები არ უნდა დაითხო-
ონ.

მისი თქმით, იუსტიციის უმაღლე-
სი საბჭო უნდა იყოს სრულიად



დამოუკიდებელი მოსამართლეთა თვითთმართველობის ორგანო. „მისი წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელები, მის შემადგენლობაში კი მოსამართლეებთან ერთად უნდა შედიოდნენ მეცნიერები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. მოსამართლეები ფარული კენჭისყრის წესით უნდა აირჩიონ, თუმცა ამავდროულად, მნიშვნელოვანია კანონის უზრუნველობის დარღვევის თავიდან აცილება – საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ დათხოვნილი, ვიდრე მათი უფლებამოსილება არ ამოიწურება. ვენეციის კომისიის პრეზიდენტი საქართველოს საგარეო კურსის კონსტიტუციით გარანტირების აუცილებლობას ვერ ხედავს. მისი თქმით, მთავრობის წარმომადგენლებთან საუბრისას მსგავსი რამ არავისგან მოუსმენია. ყველა ამბობს, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი გაგრძელდება, რადგან ეს საქართველოს მოსახლეობის 75 პროცენტის სურვილია. მეც, როგორც ევროპელი, ამ პოზიციას ვემხრობი, – აღნიშნა ჯანი ბუკიკიომ.

თეართშო აზოების კანკაცენა კაიხაბან

სამოქალარო აქტივისტები შიშობენ, რომ კანონი რომელსაც მომავალ კვირაში თურქეთის კაბინეტს წა-

რუდგენენ, ქალებისათვის აბორტის გაკეთების უფლებას აკრძალავს. მთავრობა პირობას დებს, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ახალი კანონი 10 კვირამდე აბორტების ლეგალურობას არ შეეხება. ქალთა უფლებების აქტივისტები მთავრობის ამ პირობას მიუხედავად მაინც ფიქრობენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ქალთა აბორტის უფლება შეიზღუდება.

კანონის მიხედვით აბორტის გაკეთება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში იქნება ნებადართული. ის ასევე მოიცავს ექიმის უფლებას უარი თქვას აბორტის გაკეთებაზე.

„ეს კანონი ზრდის ლიმიტსა და ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ და მწირი ფინანსური რესურსები აქვთ“ – ამბობს ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტი სელინ დაგისტანლი.

ერთ-ერთი ექიმი, რომელიც ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს, ამბობს, რომ კანონი დახურულ კარს მიღმა მომზადდა, სპეციალისტებთან და ქალთა უფლებების დამცველებთან კონსულტაციის გარეშე. ჯანდაცვის სპეციალისტები შიშობენ იმ შედეგების გამო, რაც ახალმა კანონმა შეიძლება მოიტანოს.

ისრაელი სიჩივისბან საკასუბა შეტავას ეცოდება

ისრაელი ოთხშაბათს სირია-ლიბანის საზღვრის დაბომბვის გამო სამაგიეროს გადახდას ელოდება. ოთხშაბათს ისრაელის მხრიდან სირია-ლიბანის საზღვრის დაბომბვა რუსეთისა და არაბეთის ლიგის მიერ სირიის სუვერენიტეტის დარღვევად შეფასდა.

„საერთაშორისო ორგანიზაციის დუმილი ისრაელის მიერ სირიის სუვერენიტეტის დარღვევის მიმართ აგრესის ახალ ტალას ახალისებს,“ – ამბობს ნაბილ ალ-არაბი, არაბთა ლიგის ხელმძღვანელი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, თუ ისრაელის მხრიდან საზღვრის დაბობვის ფაქტი დადასტურდება, მაშინ სუვერენულ ქვეყნის ტერიტორიაზე არაპროპორციულ შეტავებასთან გვაქეს საქმე და არანაირი მიზეზი მას არ ამართლებს. საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად საპარო დაბომბვის შესახებ მფიციალურ დუმილს, თავის მხრივ, ისრაელიც აგრძელებს. 

დიახ

ქეთევან ციხელაშვილი

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

ყველა სამშვიდობო მოლაპარაკების დროს დუმილსა და კომუნიკაციის მიღმა დარჩენას საუბარი სჯობს. ცხადია, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რეალობა და ამ სალხსაც ნადვილად უნდა ვესაუბროთ. მათ შორის, შუამავლების გარეშეც, რათა გავიგოთ მათი ინტერესები. ილუზიები ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ პროცესი პატარ-პატარა ნაბიჯებით წავიდეს წინ. თუმცა, ეს მთელი პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს – ჩვენ რუსულ-ქართული კონფლიქტი გვაქვს და ეს სამწუხარო ფაქტია. უნევის მოლაპარაკებები მნიშვნელოვანი ფორმატია, რამდენადაც რუსულ-ქართული განზომილებაა წარმოდგენილი და ამ კომპონენტის დაკანინებას არავინ აპირებს. ჩვენ უბრალოდ მიგვაჩნია რომ გარკვეული პირდაპირი კომუნიკაცია აფხაზებსა და ოსებთან კარგი იქნება.

ამ ეტაპზე არც მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა და არ ვაკონკრეტებთ კონკრეტულად რისი მხარე არის აფხაზები და ოსეთი – მოლაპარაკების, კონფლიქტის თუ სხვა, მაგრამ არც მისი მხარედ აღიარება იქნებოდა ტრაგიული – თუკი ჩვენ მხარებზე ვისაუბრებთ, ამით ნამდვილად არ ხდება რუსულ-ქართული კონფლიქტის მნიშვნელობის დაკანინება.

აფხაზებისა და ოსებისგან ხშირად გვესმის, რომ მათი ხმა და აზრი იგნორირებულია – ისინი თან არიან და თან არ არიან – მონაწილეობენ მოლაპარაკებებში მაგრამ ჩვენ მათ არ ვაღიარებთ. რაკი ეს ხელს უშლის პროცესის წინსვლას, რაციონალური პოზიციაა, რომ მოსინჯო, კონტაქტზე გახვიდე და ნახო, შეუწყობს თუ არა ეს კონფლიქტის რეგულირებას ხელს. მე არ ვფიქრობ, რომ სწორი მიდგომა იყო ამ ხალხთან ერთად თან ერთ შაგიდასთან ჯდომა და თან მთლიანად იგნორირება.

დღის წესრიგში რომ მართლაც იდგეს მათი მხარედ აღიარების საკითხი, ეს მაინც არ წიმნავს ჩვენი ინტერესების დაკანინებას. მხარედ აღიარება აბსოლუტურად განსხვავებული რამება და არ გულისხმობს სტატუსისა და სახელმწიფოებრიობის აღიარებას. მხარის წოდებას არანაირი შედეგი არ მოყვება – არც ვალდებულებებს არ წარმოშობს და არ არც ავტომატურად სტატუსის ამაღლების საკითხს არ სვამს.

აფხაზებისა და ოსების იგნორირება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა და ამის შედეგი რაცაა, ნათელად ვხედავთ. ❶




ცნობილი აფხაზებსა და მსახურებელი აზრი

■ ჩვენ უბრალოდ მიგვაჩნია,
რომ გარკვეული პირდაპირი
კომუნიკაცია აფხაზებსა და
ოსებთან კარგი იქნება.

პრა

სერგი კაპანაძე:

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორი



თუ არა ეს ესაუბრონ აშანული შემთხვევის ბაზი?

■ კონფლიქტის მოგვარებაზე საუბრისას შუამავალი აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამით ვალიარებთ, რომ რუსეთთან არ გვაქვს კონფლიქტი.

რა თქმა უნდა, უნდა ესაუბრონ. საუბარში არ არის არანაირი საფრთხე პოტენციურადაც კი. საუბარი აუცილებელია, თუმცა საუბარი არ ნიშნავს კონფლიქტის მხარედ გამოცხადებას. ეს ხშირად ერევათ ხოლმე და ამბობენ, რომ საუბარი არ შეიძლება, თუ მათ კონფლიქტის მხარედ არ გამოაცხადებ. აფხაზეთისა და ოსეთის მხრიდან მოთხოვნა, რომ, აი, კონფლიქტის მხარედ გვალიარეთ და მერე გელაპარაკებით, უკვე საფრთხეა. მათი მთავარი მიზანია, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აღქმული იყვნენ კონფლიქტის მხარედ.

თუ იმას ვგულისხმობთ, კარგია თუ არა ზოგადად კონფლიქტის მოგვარების პროცესში ორმხრივი დიალოგი მედიატორების გარეშე, მაშინ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ არის მხოლოდ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და პირველ რიგში, ეს ქართულ-რუსული კონფლიქტია აუცილებელია ევროგვაშირის, გაერთსა და ეუთოს მსგავსი შუამავლების არსებობა. ამისი დაკარგვა ძალიან დიდი შეცდომაა. კონფლიქტის მოგვარება შუამავლის გარეშე ორმხრივად არ მოხდება და ეს ჩეცულებრივი ილუზია. თუ ჩვენ მათ ისე ვესაუბრებით, როგორც თანაბარ მხარეებს – როგორც კონფლიქტის მხარეებს, მაშინ ჩვენ გვიწევს მათი სტატუსის აღიარება, რაც ცხადია, ჩვენ ტერიტორიულ მთლიანობას არ არგებს.

კონფლიქტის მოგვარებაზე საუბრისას შუამავალი აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევებში, ამით ვალიარებთ, რომ რუსეთთან არ გვაქვს კონფლიქტი.

რეალური ცვლილებები კონფლიქტის მოგვარებაში მაშინ მოხდება, თუ რუსეთში პოლიტიკური ნება შეიცვლება. მაშინ კონფლიქტი ჩვენთვის უფრო კარგად დარეგულირდება, თუ პროცესში საერთაშორისო შუამავლები იქნებიან ჩართული. თუ რუსეთში სიტუაცია უცვლელი დარჩევა, ფორმატს მნიშვნელობა არა აქვს – კონფლიქტებში არაფერი არ შეიცვლება. გადაწყვეტილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი მოსკოვშია და ჩვენ უენევის საერთაშორისო ფორმატი იმიტომ გვაქვს, რომ გამოჩენდეს გადაწყვეტილების მიღებაში მოსკოვის მთავარი როლი. თუ ჩვენ ამ ფორმატს ორმხრივ ფორმატში გადავიტანთ, გამოჩენდება, რომ მოსკოვი არაფერ შუაშია და ის წეიტრალური დამკვირვებლის როლში დაბრუნდება. ■



შოთა რუსთაველის მუზეუმი

სახახი ეამცაის გამოწვევაზე

ინტერვიუ სახალხო დამცველთან,
უჩა ნანეიშვილთან

ხელისუფლების ცვლილებიდან 100 დღე უკვე გავიდა, ამ ფონზე ერთ-ერთი
მთავარი თემა, რომელიც აქტუალობას არ კარგავს, ადამიანის უფლებებია.
რა ფიქრობს სახალხო დამცველი პენიტენციურ სისტემაში არსებულ
მდგომარეობაზე, გახმაურებულ დაჭერებზე, ამნისტიასა და
პოლიტპატიმრებზე?

ახალი ხელისუფლების პირობებში რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევად ადამიანის უფლებათა სფეროში?

ვფიქრობ სამი თვე საკმარისია, რომ ტენდენციებზე ვისაუბროთ, წარსულს შევადაროთ და დასკვნები გავაკეთოთ. რიგ საკითხებში პროგრესი შეინიშნება – მაგალითად ჰენიტენციურ სისტემაში, რომელიც წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემატური იყო. სასამართლო სისტემაშიც ცვლილებებია, ის მუხრუჭებისგან ნაწილობრივ გათავისუფლდა, თუმცა ეს პროცესი ჯერ დაუსრულდებოდა. არის საკითხები, მაგალითად მედიის თავისუფლების კუთხით, პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა დევნის თვალსაზრისით და ა.შ. სადაც პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, ახალ-ახალი პრობლემებიც ჩნდება, მაგალითად საჯარო სამსახურებიდან მოქალაქეთა დაუსაბუთებელი გათავისუფლება.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური დენის ნიშნები არ იკვეთება?

ასეთი კვალიფიკაციის მიცემა გამოიჭირდება. ჯერ-ჯერობით საქმეებს ვსწავლობთ. ჩვენი წარმომადგელნები ხშირად ჩადიოდნენ რეგიონებში სადაც ასეთი პრობლემები არსებოდა, თუმცა ადამიანები თავს იკავებენ დეტალებზე საუბრისას.

ანუ, შიშის სინდრომი შენარჩუნებულია?

შიშზე არ ვსაუბრობ, შესაძლოა, ამ ადამიანებს აქვთ მოლოდინი, რომ სხვა თანამდებობებზე ან სხვა სამსახურებში დასაქმდებიან.

ჩვენ ვსწავლობთ ყოფილ მაღალჩი-

ნოსანთა დაკავების საქმეებს, მოსამართლის თანაშემწებეზე ზეწოლის შემთხვევას და ა. შ.

როგორია თქვენი დამოუკიდებულება ენ. „გუნავას საქმესთან“ დაკავშირებით? შეგახსენებთ, რომ ყოფილი მაღალჩინოსანი ნარკოტიკებისა და იარალის ტარების გამო დაკავეს, ამ უკანასკნელმა იჩივლა და განაცხადა რომ მას იარალი და ნარკოტიკი ჩაუდეს. შიდა გამოძიების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს... თქვენი აზრით ეს ადეკვატური რეაქცია?

■ ეს დამოუკიდებელი ჯგუფი უნდა იყოს. შესაძლოა იურისტების, ადვოკატების და ურნალისტების ჯგუფში ყოფნამ ინტერესთა კონფლიქტები წარმოშვას. ამიტომ ვფიქრობთ, მედიისთვის ცალკე მექანიზმი შეიქნას, რათა დაინტერესებულმა ურნალისტებმა ციტები უნდა იყოს შესვლა შეძლონ.

თუ დანაშაული მოხდა (და იარალის და ნარკოტიკის ჩადება სისხლის სამართლის დანაშაულია) სამსახურიდან გათავისუფლება არადეკვატური სასჯელია. აქ საუბარი არამხოლოდ შემსრულებლებზე, არამედ, დამგეგ-

მავებზეცაა. ამ საქმესაც ვსწავლობთ, დარღვევების ნიშნები არის. როდესაც დასკვნას დავდებთ, შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციითაც მივმართავთ.

რამდენად მნიშვნელოვნად ალიკვამს ახალი ხელისუფლება თქვენს მითითებებს. მაგალითად, 9 იანვარს თქვენ მიმართეთ სასჯელადსრულების მინისტრს, რომ ჰენიტენციურ სისტემაში ტელეტრანსლირების პრობლემა მოეგარებინა, შესრულდა ეს რეკომენდაცია? და ზოდგადად, როგორია ტენდენცია, რამდენად რეაგირებს ხელისუფლება სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე?

რამდენიმე რეკომენდაცია უკვე შესრულებულია, რაც შეეხება ტელეტრანსლირებას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, მაგრამ საუბარი არაერთ პატიმარზე ან ერთ კამერაზეა, არამედ მთლიანად მე-7 და მე-9 დაწესებულებაზე, სადაც ასობით პატიმარია. თუმცა, მე-7-ში დაახლოებით 35 პატიმარი იხდის სასჯელს.

მე-9-ში გაცილებით მეტია. ჩვენ მივადევნებთ თვალყურს, რამდენად სრულდება კონკრეტულად ეს რეკომენდაცია.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ჯერ კიდევ რჩება რამდენიმე დაწესებულება, მაგალითად ორთაჭლის N1 ციხე, უფრო მძიმე გამოთქმებს თუ არ გამოიყენებია, საცხოვრებლად არასათანადო პირობებია, ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის მიხედვით, არადამიანურ პირობებში ცხოვრება შესაძლოა წამებად, მესამე მუხლის დარღვევადაც

შეფასდეს, ციხის ევროპული წესების მიხედვით კი არასათანადო პირობების არსებობა არ შეიძლება რესურსების ნაკლებებით გავამართოთ, თქვენ რას ურჩევთ ხელისუფლებას, რა რეკომენდაციით მიმართავთ?

არის რამდენიმე დაწესებულება, რომელიც იყო მიმდევარის აღმოჩენას და უკეთესობას. მაგალითად ზუგდიდის ციხე, რომელიც მეფის რუსეთის დროინდელი შენობაა და ადრე იქ თავლა იყო განთავსებული. ეს შენობა უნდა დაინგრეს და სხვა აშენდეს. დრო და უამრავი ფული სჭირდება. როდესაც პატიმრების რაოდენობა შემცირდება, სამინისტროს ასეთ პრობლემებთან გასამკლავებლად უფრო მეტი საშუალება ექნება.

საქართველოს პარლამენტმა 200-მდე მსჯავრდებული პოლიტპატიმრად ცნო. თქვენი აზრით, რამდენად კანონმდებლობის დაცვით წარმართა პარლამენტმა პროცესი?

ადამიანებს საქართველოში პოლიტიკური ნიშნით რომ დევნიდნენ, ეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადასტურებული ფაქტია. პოლიტპატიმრა თავის შემსრულებლი კომისიის მუშაობაში ჩართული ვიყავი, თავდაპირველად პროცესი შართლაც ქაოტური იყო. ვადები – შემჭიდროებული. თუმცა, რაკილა საქმეების უმრავლესობაზე წლებია ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა, შემიძლია გითხოთ, რომ საქმეთა 80-90% ჩემთვის ნაცნობია. თანაც, თავდაპირველად მოცემული ორკვირიანი ვადა გაგრძელდა. დავადგინეთ თუ რამდენად მოდიოდა ესა თუ ის საქმე ევრო საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციასთან. ბევრ საქმეზე უარი ვთქვით რადგან მათში პოლიტიკური ნიშნით დევნის ნიშნები არ ჩანდა.

როდესაც ადამიანს პოლიტპატიმრად აღიარებ, ხომ არ ნიშნავს, რომ მას შესაბამისი რეაბილიტაცია და კომპენსაცია ეკუთვნის?

პარლამენტი ამით ამბობს, რომ ეს ადამიანები უდანაშაულონი არიან.

დიახ, მათ ეკუთვნით კომპენსაცია, მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა სწორედ დეპუტატებზეა, რადგან ეს საკითხი საქანონმდებლო თვალსაზრისით მოუწესრიგებელია. თუმცა, თითოეულ პოლიტპატიმარს, შეუძლია სასამართლოში იჩივლოს და კომპენსაციის საკითხი ინდივიდუალურად გადაწყვიტოს.

თქვენი წინამორბედი სახალხო დამცველი, არსებული მოსაზრებით, თავის საქმეს საკმაოდ პროფესიონალურად ასრულებდა, მისი ანგარიშები ყოველთვის სკრუპულობურად იყო

■ არის რამდენიმე

დაწესებულება, რომელიც

რემონტს აღარ ექვემდებარება.

მაგალითად ზუგდიდის ციხე,

რომელიც მეფის რუსეთის

დროინდელი შენობაა და ადრე

იქ თავლა იყო განთავსებული. ეს

შენობა უნდა დაინგრეს და სხვა

აშენდეს, რასაც დრო და უამრავი

ფული სჭირდება. როდესაც

პატიმრების რაოდენობა

შემცირდება, სამინისტროს

ასეთ პრობლემებთან

გასამკლავებლად უფრო მეტი

საშუალება ექნება.

დამუშავებული. მას ძირითადად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ „პროაქტიური არ იყო“, ამ თვალსაზრისით თქვენი სტრატეგია როგორია?

ყველა იმ საქმეს ესწავლობთ, რომელიც გახმაურებულია, არც ერთ მათგანს ჩვენთვის არ მოუქმართავს, ჩვენს ამ საქმეებს ჩვენი ინიციატივით განვიხილავთ, ვცდილობთ ჩვენს

საქმიანობაში საზოგადოება უფრო მეტად ჩავრთოთ. ჩვენ ვხვდებით ჩვენს რეგიონულ ფისიებს, არასამთავრობო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მედიას და ა.შ.


ციხეების მონიტორინგის ალტერნატიული ჯგუფის შექმნა სავარაუდო მობუდსმენის აპარატის ფარგლებში მოხდება, როგორ შეირჩევიან მონიტორები? და იქნებიან თუ არა მასში ჟურნალისტები?

ეს დამოუკიდებელი ჯგუფი უნდა იყოს. შესაძლოა იურისტების, ადვოკატების და ჟურნალისტების ჯგუფში ყოფნამ ინტერესთა კონფლიქტები წარმოშვას. ამიტომ ვფიქრობთ, მედიისთვის ცალკე მექანიზმი შეიქმნას, რათა დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა ციხეში შევცლა შეძლონ.

თქვენს სახალხო დამცველად არჩევას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, პარლამენტმა მობუდსმენის კანდიდატის წამოყენება თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოებას მიანდო, გაიმართა დისკუსიები, ტელეგადაცემები, საჯარო განხილვები. შემდეგ მოულოდნელად უმრავლესობამ თავისი სიტყვა უკან წაილო და მხარი თქვენ დაგიჭირათ. მაინტერესებს ამ პროცესის თქვენეული ანალიზი...

არაერთმა ორგანიზაციამ შემომთავაზა, რომ თავი იმბუდსმენის კანდიდატად წამომეუწენებინა, თუმცა თავს ვიკავებდი. შემდეგ სხვადასხვა კანდიდატები დასახელდა. ამ დროისთვის სამხრეთ ამერიკაში წავედი და ამ პროცესებს ჩამოერჩი. ჩამოსვლის შემდეგ, ოჯახური პირობების გამო დასავლეთ საქართველოში ვიყოფებოდი და როდესაც აქ ერთგვარი დოლი მიმდინარეობდა, პროცესებს მოწყვეტილი აღმოვჩნდი. ჩემი კანდიდატის დასახელებას გარკვეული მითქმა – მოთქმა მოყვა. თუმცა, მთლიანაში წარმართული პროცესით კმაყოფილი ვარ.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი



www.facebook.com/TalkShowLiberali

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თემათაზე ისება მოვლენების სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის ნარჩობადგენლების უფლებების შეღახვა და სხვა.

ეთერში გასელის დრო ყოველი სამუშაო დღე - 19.00

განმეორების ყოველი სამუშაო დღე - 02.00



არა-შოუ "ლიბერალი" ავტორები და წარმარი:



ნინო ქვირიკაშვილი



ნინო ცერეტელი



ლიკა ჭიკოვანი



ნინო გოგია



ნინო ქვირიკაშვილი

ოსნების 100 დღე



ფოტო: ლეილი სულიერაშვილი

100 დღე კრიტიკის გარეშე პირველად მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ამერიკის პრეზიდენტად არჩეულ ფრანკლინ რუზველტს მისცეს. ეს იყო ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმება პოლიტიკასა და მედიას შორის, რომელსაც პრეზიდენტისთვის პირველ საკადრო გადაწყვეტილებებსა და ქმედებები მეტი თავდაკვერებულობა უნდა მიენიჭებინა.

უნალისტებისგან ინიცირებული ეს დაუწერელი კანონი შემდგომში ოპოზიციამაც გაიზიარა. ინტერნეტის ეპოქაში რთულია ჯენტლმენური შეთანხმებების დაცვა. სოციალურ-მა მედიამ ყველა აქტიური მოქალაქე უურნალისტად აქცია,

უურნალისტებს კი სულ უფრო გვიმძაფრებს აქტივისტობის, პროცესში მონაწილეობის ცდუნებას.

„ლიბერალი“ ახალ მთავრობას ამ 100 დღის განმავლობაშიც აკრიტიკებდა, ოღონდ ინტერნეტ-გამოცემიდან. „ლიბერალის“ ეს ნომერი კი ბოლო 3 თვეს უფრო სიღრმისეულ ანალიზს გთავაზობთ, რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით – თვითმმართველობა, მართლმასაჯულება, ჯანდაცვის რეფორმა, კულტურული პოლიტიკა, საგარეო ურთიერთობები და ხედვა გარედან.

ირაკლი აბსანძე

მასალის 100 ელემენტი

3 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგმა სრულიად შეცვალა გარემო კიდევ ერთ არჩეულ ინსტიტუტში – საკრებულოებში. „ნაციონალური მოძრაობას“ უმრავლესობით დაკომპლექტებული საკრებულოები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ – 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე მათ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან უნდა ითანამშრომლონ.

ინაკლი აპსნაძე

„საქართველოს ხელისუფლებაში გამოხატა მზადყოფნა მომავალ წელს ყველა მერის პირდაპირი წესით არჩევის თაობაზე,“ – მიმართა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს გენერალურ ასამბლეას 2009 წლის სექტემბერში.

მერი საქართველოში 5 თვითმმართველ ქალაქს ჰყავს (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი). ადგილობრივი თვითმმართველობის 2010 წლის არჩევნებზე კი პირდაპირი წესით მხოლოდ თბილისის მერი აირჩიეს. გამოდის, რომ პრეზიდენტის მზადყოფნა ჩვენთვის უცნობი გარემოებების გამო შეიცვალა, ან სააკაშვილმა უბრალოდ იცრუა გენერალური ასამბლეის სხდომაზე, რათა 2007 წლის მოვლენების გამო დემოკრატიულობის შელახული იმიჯი გამოესწორებინა.

თუმცა, ღრმა ანალიზი არც მაშინ სჭირდებოდა იმის მიხედვას, რომ პრეზიდენტის ნიუ-იორკული განცხადება შიდა მოხმარებისთვის არ იყო გათვალისწინებული. საქართველოს საზღვრებს გარეთ დემოკრატიული რეფორმებით თავმომწონე მმართველი გუნდი, ქვეყნის შიგნით, ვერტიკალურად მართვად და აპსოლუტურად უუნარო თვითმმართველობას ეყრდნობოდა. ყველასთვის ცნობილი საიდუმლოება იყო, რომ მერები და გამგებლები თავიან სამართავ ქალაქებში

■ „ნაციონალურ

მოძრაობას“,

დემოკრატიული

რიტორიკის მიუხედავად,

ქმედებებში არ დაუმალავს,

რომ ქვეყანას მკაცრი

ხელით მართავდა. როგორც

ჩანს, მიიჩნევდნენ,

რომ სხვანაირად

ვერ გაიყვანდნენ

სამშვიდობოზე

მოსახლეობას, რომლის

დიდი ნაწილი დღესაც

საბჭოთა კავშირს

მისტირის.

შესალები შენობების ფერსაც კი თბილისთან ათასებდნენ.

„ნაციონალურ მოძრაობას“, დემოკრატიული რიტორიკის მიუხედავად, ქმედებებში არ დაუმალავს, რომ, ქვეყანას მკაცრი ხელით მართავდა. როგორც ჩანს, მიიჩნევდნენ, რომ სხვანაირად ვერ გაიყვანდნენ სამშვიდობოზე მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი დღესაც საბჭოთა კავშირს მისტირის.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილის მიერ დადგებული პირობა თვითმმართველ ქალაქებში მერების პირდაპირი წესით არჩევის თაობაზე, ადგილობრივ პოლიტიკურ სპექტრში დასკუსიის საგანი არ გამხდარა. პოლიტიკური სუბიექტები მაშინაც ვიწროპარტიული კინკლაობით იყვნენ დაკავებულები და „დიდი ბოროტების“ დასაძლევად მორიგი გაერთიანებისთვის მუშაკობდნენ.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში გადასული „ნაციონალური მოძრაობა“ თვითმმართველობების მიმართ საკუთარი პოლიტიკის ტეცე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს არჩეულ ყველა საკრებულოში უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობას“ ნარმომადგენელია, ყოფილი მმართველი პარტია ვითარების მართვას ვეღარ ახერხებს. მორჩილი და ზემოდან ინსტრუქციების მომლოდინე დეპუტა-

ტები ადგილად გადაერთნენ ძალაუფლების სხვა ცენტრზე, რადგან სხვანაირად მოქცევა უპრალოდ არ იციან. ამიტომ აკლია დამაჯერებლობა ახლანდელი ოპოზიციის მიერ დაწყებულ კამპანიას, როცა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაიდიან და თვითმმართველობაზე ზენოლას აპროტესტებენ. მარტივი დაკვირვებით ირკვევა ხოლმე, რომ ეს ზენოლა, სინამდვილეში, რამდენიმე კორუმპირებული ჩინოვნიკის მიმართ მოსახლეობის პროტესტისა და „ქართული ოცნების“ ადგილობრივ წარმომადგენლებს შორის კარიერული ბრძოლის ნაზავია. დიდი მცდელობის მიუხედავად, რეგიონებში განვითარებული პროცესების დემოკრატიული ღირებულებების წინააღმდეგ შეთქმულებად წარმოჩნდას „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლელი პოლიტიკოსების მხოლოდ შედარებით გულუბრყვილო ან ნაკლებად ინფორმირებული ნაწილის-თვის თუ ახერხებს.

თვითმმართველობებში ახლა მიმდინარე პროცესები თორ პირობითი სქემით ვითარდება.

როცა „ქართულ იცნებას“ ადგილზე გავლენიანი და პოლიტიკურ ინტრიგებში კარგად გამობრძებული მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს, ძალაუფლების გადანაწილება შედარებით უხმაუროდ, კულუარებში მიმდინარეობს. ასე მაგალითად, ფოთში ეკა ბეჭედიამ რამდენიმე ათეული მხარდამჭერის მიერ მერიის შენობასთან გამართული აქციით ძალის დემონსტრირება ეფექტურად მოახდინა. პარალელურად ბეჭედია კულუარულ მოლაპარაკებებს ანარმოებდა ფოთის საკრებულოს ნაციონალ თავმჯდომარევანო კილურაძესთან. კილურაძის მერობის დროს კორუფციის გამო დაკავებული მერიის ერთ-ერთი თანამშრომელი სასჯელს ახლაც იხდის. ლოკალური პოლიტიკოსები მაშინვე ღიად საუბრობდნენ, რომ ასეთი მსხვილი კორუფციული სქემა მხოლოდ საშუალო რგოლის მენეჯმენტში ვერ შედგებოდა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეკა ბეჭედიას საკრებულოს თავმჯდომარის „დარნმუნების-თვის“ კარგი წინაპირობა ჰქონდა. მერობის ბეჭედიას გავლენა უალტერნატი-

■ რეგიონული მედია

ზენოლის ფაქტებზე წერს.

„ქართულმა ოცნებამ“

დროულად უნდა

შეზღუდოს თავიანთი

ლოკალური ლიდერების

ძალაუფლებისკენ

სწრაფვა, თორემ არსებობს

საფრთხე, „ნაციონალების“

ფრთებქვეშ

მოკალათებული

ადგილობრივი ფეოდალები

„მეოცნებებმა“

ჩაანაცვლონ.

ვლობაში გორგოზიების კუთვნილი კერძო საკონსერვო ქარხნის ელექტროენერგიის დანახარჯეს. მისივე ინფორმაციით, სამეცნიერებლის ყოფილი გუბერნატორის იჯახი მცირემინიან მარტვილში 300 ჰა სახნავ-სათესს ფლობს.

ხალხმარებული საპროტესტო აქციები მარტვილის საკრებულოსთან თითქმის თვენახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. გაცეცხლებული აქცივისტები შენობაშიც შეიჭრნენ და საკრებულოს თავმჯდომარის სკამი ფანჯრიდან გადააგდეს.

მართლია ამ სკამის გარეშე, მაგრამ მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარე დღესაც ზაალ გორგოზია. არც გამგებელი შეცვლილი. საპროტესტო აქციების შეწყვეტისკენ მარტველებებს „ქართული ოცნების“ ადგილზე ჩასულმა ლიდერებმა მოუწოდეს. ზურაბ ბიგვავა მიიჩნევს, რომ საპროტესტო მუხტის ჩაცხრობაში წვლილი ქუნძიდის ეპარქიის გისკოპოს პეტრესაც მიუძღვის. როგორც ბიგვავა ჰყება, „ნაციონალური მოძრაობას“ მიმართ ლოკალურობითი გამორჩეულმა ეპისკოპოსმა მარტვილის საკრებულოს ნევრებსა და საჯარო მოხელეებს ყოფილი მმართველი პარტიის ერთგულება ხატზე დააფიცა. ინფორმაცია „ლიბერალს“ ანონიმურად დარჩენის მსურველმა ორმა სხვადასხვა წყარომ დაუდასტურა. ქუნძიდის ეპარქიაში ამ თემაზე საუბარი არ ისურვეს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ მარტვილელ მხარდამჭერებს შორის გამგებლის ერთ კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ ხერხდება. ასეთივე ვითარებაა ზუგდიდშიც, სადაც მაჟორიტარის მანდატი როლანდ ახალაიამ მიირგო, გავლენის მოსაპოვებლად კი „ქართული ოცნების“ მომხრე რამდენიმე ჯუფი იბრძების. 18 იანვარს „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოსთვის“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლიდან მიწოდებული საჯარო ინფორმაცია ანეკდოტივით იკითხება. ოფიციალურ დოკუმენტში წერა, რომ გამგებლის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებლები გიორგი თოლეა, მერაბ ქვარაია და გურგენ სართანია თანამდებობებზე პირადი განცხადების საფულტერაციოდ ბიგვავა გვიამბობს, როგორ ფარავდა მარტვილის მუნიციპალიტეტი თვეების განმა-

გიორგი თოდუა რესპუბლიკური პარტიის წევრია, გურგენ სართანია – „თავისუფალი დემოკრატების“, მერაბ ქვარაიაშვილი თანამდებობა დანიშვნიდან მაღლევე, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

„ქართული ოცნების“ ბანაკიდან დანიშნული გამგებლები ადგილებზე პრობლემების წინაშე დგანან. მათ გამგეობისა და საკრებულოების მართვის გადაბარება ისე უნდა მოახდინონ, რომ შეინარჩუნონ ადგილზე დასაქმებული პროფესიონალი საჯარო მოხელეების ბირთვი. პროცესი, ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ საპირისპიროს აჩვენებს.

სილაციის ახლადანიშნული გამგებელის სამსახურში მისვლისთანავე გამგეობა, პირადი განცხადების საფუძველზე, 78-მა თანამშრომელმა დატოვა.

რეგიონული მედია ზენოლის ფაქტებზე წერს. „ქართულმა ოცნებამ“ დროულად უნდა შეზღუდოს თავიანთი ლოკალური ლიდერების ძალაუფლებისკენ სწრაფვა,

თორემ არსებობს საფრთხე, „ნაციონალების“ ფრთხებები მოკალათებული ადგილობრივი ფეოდალები „მეოცნებებმა“ ჩანაცვლონ.

„ქართული ოცნებას“ დემოკრატიულობის პირველი დიდი გამოცდის ჩაბარება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მოუხდება. სავარაუდოა, რომ, ამ დროისთვის, კოალიციის შემადგენელი პოლიტიკური სუბიექტები ერთმანეთის კონკურენციები აღმოჩნდნენ. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი თამაშის ყველა მონანილისაგან აღიარებულ წესებზე უახლოეს მომავალში შეთანხმება. ძნელი სათქმელია, რამდენად ესმით ამ საკითხის მნიშვნელობა პარლამენტში. შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარედ ირაკლი ტრიპოლსკის არჩევა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, არ ფლობს სათანადო კომპეტენციას, იპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს. თუმცა „ლიბერალმა“ სანდო წყაროებიდან შეიტყო, რომ რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ექსპერტებისა და პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე აქტიურად მუშაობენ. როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებზე ამომრჩეველს ორდონანი (მინიციპალური და სათემო) თვითმმართველობის არჩევა მოუწევს, რა ფორმით – ჯერ-ჯერობით მსჯელობის საგანია.

თვითმმართველობის სტრუქტურული ფორმირების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობა. ხელისუფლებაში ხალხს მიღებული გადაწყვეტილებები პისტიფაქტურ კი არ უნდა გააცნოს, არამედ კარგად უნდა გაისარჯოს იმისთვის, რომ სოფლის მოსახლემ დანამდვილებით იციდეს, რა უფლებამოსილების პირს ირჩევს.

ქართულ თვითმმართველობას დღეს ყველაზე მეტად ნდობა აკლია. ნდობას კი, გულწრფელი დალოგის გარეშე, ვერ მოიპოვებ.

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის კარსონალური რადიო

Commersant.ge

მასობრივი 100 ლეკი

ამ ბოლო დროს, დღე არ გავა ისე, საპატიმრო დაწესებულებები ასობით ყოფილმა მსჯავრდებულმა არ დატოვოს – ამნისტიის შესახებ კანონს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ხელი 12 იანვარს მოაწერა. უკვე თავისუფალია პოლიტპატიმრის სტატუსის მატარებელი 190 ადამიანი, მათვის ციხის კარი 13 იანვარს, კვირა დილით გაიღო.

ზურაბ ვარდიაშვილი

პირველი, ყველაზე სერიოზული შეცდომა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუშვა – ნარკოტიკებისა და იარაღის ტარებისთვის დაკავებული, შემდგომ კი გუბერნატორად დაწინაურებული თენგიზ გუნავა სამართალდამცავებს უჩივის, ხოლო მისი დამატიმრებლები მხოლოდ იმით დასაჯეს, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს.

გახმაურებული დაჭერები გრძელდება, გამოძიების ყურადღება მიპყრობილია ყოფილი მინისტრების, გუბერნატორების, მათი მოადგილების, დეპარტამენტების უფროსებისა და სხვადასხვა ყოფილი მაღალჩინოსნებისკენ.

მზადდება საკანონმდებლო ცვლილებები: სასამართლოებში კამერები ბრუნდება, ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეებს ნაფიცი შსაჯულები განსჯიან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსხვავებული წესით დაკომპლექტდება.

პირველი ოქტომბრის არჩევნებში, ხელისუფლება არა სოციალური პრობლემების, ეკონომიკური გაჭირვების, ან ქვეყნის საგარეო კურსით უკმაყოფილების, არამედ სამართლიანობის ალგენის მოთხოვნით შეიცვალა. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ წნორედ ამ მიზეზით ექცევა.

ამნისტირებულ პატიმართა ეტაპობრივი გათავისუფლება რამდენიმე დღეში დასრულდება. ამ პროცესს საზოგადოების დიდი ნაწილი მიესალმება. ნაწილი კი, განსაკუთრებით ოპოზიციის მომხრეები, შიშით შეცყურებენ და კრიმინოგენული ვითარების გამნვავებას ელიან. ამ არგუმენტის გასაქარწყლებლად ხელისუფლებისთვის საუკეთესო

გზა ის იქნება, თუ საზოგადოებას დაარწმუნებს, რომ გათავისუფლებული პატიმრები, რომლებსაც წლების განმავლობაში არაა დამიანურ პირობებში ამყოფებდნენ, ფსიქო-სოციალური თუ სამედიცინო რეაბილიტაციის, ერთგვარი რესოციალიზაციის გარეშე არ დარჩებან.

2013 წლის 24 იანვარს, სასჯელადსრულების საკითხთა და იუსტიციის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი მსჯავრდებულთათვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების შეთავაზებას ითვალისწინებს, რომლის განხორციელება სოციალური მუშავების, ფსიქოლოგებისა და სხვა პროფესიის ადამიანების, ასევე არასამთავრობო სექტორის ჩართულობით იგეგმება.

ამგვარი მემორანდუმები, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და პროექტები ბევრი გვინახავს, თუმცა მათი შედეგების შესახებ ნათელი ნარმოდგენა ძნელად თუ ვინმეს ექნება. როდესაც პატიმარი ციხეს ტოვებს, რა ელის მას? ვინ დახვდება გარეთ? რა კონკრეტულ სერვისს შესთავაზებს სახელმწიფო? რომელი და რა პროფილის არასამთავრობოები იქნებიან ჩართულნი? რა გამოცდილება აქვთ ამ საქმეში? რა ფინანსური სახსრებია პროგრამისთვის გამოყოფილი? საკმარისია თუ არა ეს ფული? რამდენ ხანს გაგრძელდება პროგრამა? რა გარანტიები და რა რისკები არსებობს? ამ და სხვა მრავალი კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ ბინდითა მოცული.

გაურკვეველია პოლიტპატიმარის სტატუსის მატარებელ ყოფილ მსჯავრდებულთა გათავისუფლების პროცედურის დეტალებიც. ერთი მხრივ, ამნისტიის კანონი, რომელიც თავისი არსით არ შეიძლება პირთა განსაზღვრულ წრეს მოერგოს და როგორც წესი, მხოლოდ კონკრეტულ მუხლებს ეხება, სასამართლოს გერედის ავლით უპრეცენდენტო რაოდენობის ადამიანს ათავისუფლებს; მეორე მხრივ, გაურკვეველია, როგორ გამოიკვლია პოლიტპატიმართა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ თითოეული საქმე დეტალურად, თუკი ამ საქმეთა უმრავლესობას დღემდე გრიფი – საიდუმლო ადევს?

როდესაც საკანონმდებლო ორგანო 200-მდე ადამიანს პოლიტპატიმარს უწოდებს, ეს ხომ ნიშნავს, რომ ვიღაცამ სისხლის სასამართლის დანაშაული ჩაიდინა? ის მოსამართლეები და პროცესურობები დღემდე მაღალ თანამდებობებს ინარჩუნებენ.

თუ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაყენება ურთულესი საკითხია, რატომ განაგრძობენ საქმიანობას ბრალმდებლები, რომელთაც პარლამენტის დადგენილების თანახმად, მრავალი ათეული ადამიანის საქმეები „შეკრეს“? მთავარი პროცესურორის არგუმენტი, რომ სტრუქტურა ბრალმდებელთა დეფიციტს განიცდის, სიმყარით ვერ გამოირჩევა.

სასამართლო დარბაზებში კამერები ბრუნდება, – ეს ცალსახად დადებითი მოვლენაა, თუმცა სიტყვა „დაბრუნება“ იმ საკანონმდებლო ცვლილების პათოსს, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოაზადა, სრულად არ ასახავს.



ქსნის ციხე, ღანკარი 2013

ლევან დობრიძე

საქმე ისაა, რომ სასამართლო დარბაზებში ჟურნალისტები ისეთივე უფლებებით ვეღარ ისარგებლებენ, რომლითაც სრულ აქრძალვამდე სარგებლობდნენ. სხდომების გადალებისას ერთგვარი პრივილეგია საზოგადოებრივ მაუწყებელს ენიჭება, რომელსაც, მართალია, გადალებული მასალის სხვა მედიასაშუალებისთვის გადაცემის ვალდებულება ექნება, მაგრამ თავის მხრივ, მაგალითად „ლიბერალი“, „პირველ არხს“ რომელიმე მისთვის საინტერესო პროცესის გადალებას ვერ აიძულებს. და თუ ეს პროცესი საზოგადოებრივ მაუწყებელს არ დააინტერესებს, „ლიბერალს“ სხდომის გადალების უფლების მოსაპოვებლად მთელი რიგი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა მოუწევს, საბოლოოდ კი, გადალების უფლებას ან მიღებს, ან – არა.

„სხვაგვარად სხდომებზე სიტუაციის კონტროლი გაგვიჭირდება, რაც მართმ-საჯულების ინტერესებს ხელს შეუშლის“ – მითხრა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ. ეს ის არგუმენტია, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე

■ როდესაც

საკანონმდებლო ორგანო

200-მდე ადამიანს

პოლიტპატიმარს

უწოდებს, ეს ხომ

ნიშნავს, რომ ვილაცამ

სისხლის სამართლის

დანაშუალი ჩაიდინა?

ის მოსამართლები და

პროკურორები დღემდე

მაღალ თანამდებობებს

ინარჩუნებენ.

კუბლაშვილი ფოტო-ვიდეოკამერების-თვის სასამართლოს დარბაზების სრული დახურვის დროს ეყრდნობოდა.

სასამართლო პროცესებისადმი ინტერესი კი დიდია – პროკურატურასა და მესამე ხელისუფლებას შორის ერთგვარი კატა-თაგვობანა მიმდინარეობს, – პირველი იქერს, მეორე – ათავისუფლებს.

„სასამართლო ოპოზიციაშია“ – მიჩნევს თეა წულუკიანი და ამის მოსაგვარებლად პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით მიმართავს. ცვლილების შედეგად სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განსხვავებული წესით დაკომპლექტდება. ეს სასამართლო ხელისუფლების ამჟამინდელ უმაღლესი თანამდებობის პირებს სისტემაზე კონტროლს დააკარგვინებს.

საკონსტიტუციო ცვლილებების საკუთარ ვარიანტს უზენაესი სასამართლოც ამზადებს. მისი მიზანი მოქმედი აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან თავის დაცვაა. თუმცა,

ძნელი გამოსაცნობი არ არის, ამ საკანონმდებლო შეჯიბრში რომელი ძალა გაიმარჯვებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ არსებობს საშიშროება, საკონსტიტუციო ცვლილებებმა არა სასამართლოს გათავისუფლება, არა-მედ მისი ხელიდან ხელში გადანაცვლება გამოიწვიოს.

ინციდენტების გარეშე არც ახალი სახალხო დამცველის დამტკიცებას ჩაუვლია. ომბუდსმენის არჩევა პარლამენტმა თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოებას მიანდო. დასახელდა კანდიდატები, გაიმართა დისკუსიები, შეხვედრები, ამ პროცესს მიეძღვნა გადაცემები, პირდაპირი ეთერი... შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ, ისე, რომ საკანონმდებლო პროცედურები უგულვებელყო, მოულოდნელად საზოგადოებრივი აქტივობა ყურადღების მიღმა დატოვა და საკუთარი კანდიდატი დაასახელა. შემდეგ ამ კანდიდატზეც უარი თქვა და საბოლოოდ საპარლამენტო ტრბუნასთან ისევ უმრავლესობის კანდიდატი, უფლება-დამცველი უჩა ნაუზაშვილი წარსდგა. ის ერთხმად დაამტკიცა.

ამ პროცესს ნაუზაშვილისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, „ლიბერალთან“ საუბარში არ დაუმალავს, რომ სხვა კანდიდატების მხარდამჭერთაგან დაუმსახურებელი თავდასხმის ატანა მოუხდა, რაც მისთვის სასიამოვნო არ ყოფილა. ახლა მისი ამოცანა პროაქტიულობის დადასტურებაა, რადგან მის წინამორბედს, ძირითადად, სწორედ ამ ნიშნით აკრიტიკებდნენ.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გახმაურებული დაპატიმრებები გრძელდება. 100 დღე უკვე გასულია, თუმცა მთავარი – სასამართლო პროცესები წინაა. პროკურატურას სურს ყოფილ ხელისუფალთ განაჩენი ნაფიცმა მსაჯულებმა გამოუტანონ. უმრავლეობის ნარმომადგენლები ამ ინიციატივას, საზოგადოების უფრო აქტიურად ჩართულობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფილის მოტივით ხსნის. თუმცა გამორიცხული არაა, ხელისუფლება შიშობდეს, რომ ბრალდების მხარე მოსამართლეთა კეთილგანწყობას ვერ დაიმსახურებს.

ჯანღასვის 100 ელი

„ქართულმა ოცნებამ“ თავისი ყველაზე დიდი და მასშტაბური დაპირება, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის უნივერსალური სადაზღვევო პაკეტით უზურნველყოფას გულისხმობდა, სისრულეში მოიყვანა.

ლიკა ზაკაშვილი



2013 წლის ივლისამდე, საქართველოში დაუზღვევლი ირი მილიონი ადამიანი მინი-მალურ სადაზღვევო პაკეტს მიიღებს. მინამდებურ სადაზღვევო პაკეტში ირი სახის მომსახურება დაფინანსდება: ოჯახის ექიმთან ვიზიტი და გაუდებელი შემთხვევები. ოჯახის ექიმთან ვიზიტი ულიმიტო იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზღვეული მოქალაქე ოჯახის ექიმთან მიდენჯერ მივა, რამდენჯერაც დასჭირდება. სადაზღვევო პაკეტის მეორე ნაწილი ლიმიტირებულია. მინისტრის განცხადებით, თებერვლის ბოლოსთვის ჩამოყალიბდება გადაუდებელი შემთხვევების ნუსხა და შესაბამისი ლიმიტები.

აღნიშნული პაკეტით ირი მილიო-

ნი მოქალაქე ივლისამდე ისარგებლებს. ივლისიდან კი მინიმალურ სადაზღვევო პაკეტს პაზისური სადაზღვევო პაკეტი ჩა-ანცვლებს. ის უფრო მოცულობითი იქნება და დააფინანსებს როგორც მოსახლეობის ამბოლატორიულ მომსახურებას, ისე პროფილაქტიკურ გამოკვლევებს, პოპიტალურ მომსახურებას, სასწრაფო სამედიცინო დამარტებას, ორსულთა მოვლა - მშობიარობას, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობას. ესენციურ მედიკამენტებზე კი მხოლოდ 50%-იანი ფასდაკლება გავრცელდება.

უკვე ცხადია, რომ ახალი მთავრობის მიერ შემოთავაზებული ჯანდაცვის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია.

ისედაც, სახელმწიფომ სოციალური ვალიდებულებები უხვად აიღო. რამდენად გაართმევს ის ამ ვალდებულებებს თავს და როგორ დაამტმებს ქვეყნის ბიუჯეტს ვალდებულებების შესრულება, ამაზე დარგის სპეციალისტებში დისკუსია დიდი ხანია დაწყებულია.

ეკონომიკის და ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებს მიაჩინათ, რომ ჩვენნაირი შესაძლებლობების მქონე ქვეყნებს მიზნობრივი სოციალური პროგრამები უნდა ჰქონდეთ, ანუ ისეთი როგორც აქამდე იყო, როცა

სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით და სხვა სოციალური შეღავათებით მხოლოდ მოწყვლად ჯგუფებს ეხმარებოდა.

2006 წლიდან სახელმწიფო სოციალურად დაუცველელ მოსახლეობას აზღვევდა. ყოველწლიურად სახელმწიფო დაზღვევის ქოდგის ქვეშ შემცვალი მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა. სულ ბოლოს, 2012 წლის სექტემბრიდან, სახელმწიფო დაზღვევა პენსიონერებს, ახალგაზრდებს და 5 წლამდე ასაკის ბავშვებს გადაეცათ.

მიზნობრივი დაზღვევის პოლიტიკას ჯანდაცვის პოლიტიკის ახალი მეშვეურები არ ითვალისწინებენ და მიაჩინათ, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ე.წ. საშუალო ფენის მოსახლეობისთვისაც ისეთივე პრობლემაა, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფილი მოსახლეობისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. „ქართული ოცნების“ ჯანდაცვის პროგრამის ავტორები ამბობენ, რომ გადაუდებელი და სხვა სამედიცინო სერვისებით სარგებლობა, ხშირად, საშუალო შეძლების ოჯახების გაღარიბებას ინვევს და ამიტომ, სახელმწიფომ ეს კატეგორიაც უნდა დაიცვას.

ჯანდაცვის ახალი პოლიტიკის იპონენტები ამ ნაინდენტიც სელექციური მიდგომის მომსხრე არიან. მათ მიაჩინათ, რომ სახელმწიფომ საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახს ის სამედიცინო მომსახურება უნდა დაუზღვიოს, რომელიც ოჯახისთვის მძიმე ფინანსურულ ტვირთია, და არა იმ ტიპის სამედიცინო მომსახურებები, რომლის გადახდასაც, მოქალაქე, საკუთარი ჯიბიდანაც თავისუფლად შეძლებს.

ჯანდაცვის ექსპერტთა ერთ ნანილს მიაჩინა, რომ საქართველოს მოსახლეობის უნივერსალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფა არარაციონალური ნაბიჯია და თუ სახელმწიფოს ჯანდაცვისთვის ფული მართლაც აქვს, ჯობია ეს თანხა ისევ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სადაზღვევო პაკეტების გაფართოებაზე მიმართოს, მაგალითად, სრულად აანაზღაუროს მედიკამენტების ღირებულება. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა, ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯიდან, ყველაზე მეტ ფულს ნამალზე ხარჯავს და ექსპერტთა აზრით, ჯობდა სახელმწიფოს მოსახლეობა ისე დაუზღვია, რომ მათი დანახარჯები წამალზე საგრძ-


ნობლად შემცირებულიყო.

ამ თემებზე დისკუსია არჩევნებამდეც მიმდინარეობდა, თუმცა დისკუსიების სივრცე პროფესიულ წრეებს ვერ გასცდა და სამწუხაროდ, საზოგადოებრივი განსჯის საგანი არ გამხდარა. ახლა კი პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და უნივერსალური დაზღვევა თებერვლის ბოლოდან ამოქმედდება.

ქართული ოცნების მეორე დაპირება ერთიანი არასახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნაა. ფონდის შექმნის იდეას ბევრი მონინააღმდეგე გამოუჩნდა და მათი არგუმენტები ამ პროექტს არც ისე მომხიბლელს ხდის.

„ქართული ოცნების“ პროგრამის ავტორებს მიაჩინათ, რომ სახელმწიფო დაზღვევისთვის გამოყოფილი თანხა არამოგებიანმა ორგანიზაციამ უნდა მართოს, რადგან კერძო სადაზღვევო კომპანიას, რომელსაც მოგების ინტერესი ამონრავგბს, ცდილობს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, პაციენტისთვის კუთვნილი სერვისის შეზღუდვის ხარჯზე დაზოგოს და მოგების სახით დაიტოვოს. თუმცა, „ქართული ოცნების“ პროგრამის ავტორთა ეს არგუმენტი მტკიცებულებებით გამაყრებულ არ არის. ავტორებს, მაგალითისთვის, ის პერიოდი მოჰყავთ, როცა დაზღვევა ქვეყანაში სიახლე იყო, ერთ დაზღვეულ მოქალაქეში, სახელმწიფო საკმარისზე მეტ თანხას იხდიდა და შედეგად, სადაზღვევო კომპანიების მოგებაც დიდი იყო. თუმცა, სულ მალე, სახელმწიფომ პრომიტი შეამცირა და დაზღვეული მოსახლეობის რაოდენობა გაზარდა. ამასთან, ყველაზე დიდი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფი - პენსიონერები უზურუნველყო. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მოგებები 5%-ს არ აღემატება და ხშირად აქედან ადმინისტრაციული ხარჯი 3%-ს შეადგენს.

ვინ უნდა მართოს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები? კერძო სადაზღვევო კომპანიამ თუ არამომგებიანმა არასახელმწიფო ფონდმა? რომელი უკეთ შეძლებს ამ ხარჯების რაციონალურ მართვას? ექსპერტების ნაწილს მიაჩინა, რომ თეორიულად, კერძო სადაზღვევო კომპანია სახელმწიფო თანხების მმართვას უფრო რაციონალურად



■ ექსპერტების აზრით,
არასახელმწიფო
არამოგებიანი ფონდი
ფულის ყაირათიან
მართვას ისე ეფექტურად
ვერ შეძლებს, როგორც
ამას კერძო სადაზღვევო
კომპანია მოახერხებს.

ექსპერტების აზრით, არასახელმწიფო არამომზებიანი ფონდი ფულის ყარათიან მართვას ისე ეფექტურად ვერ შეძლებს, როგორც ამას კერძო სადაზღვევო კომპანია მოახერხებს. ამიტომ საგარაუდოა, რომ სადაზღვევო ფონდს ყოველწლიურად უფრო მეტი ფული დასჭირდება მოსახლეობის დაზღვევისთვის. როგორ გადანაწილდება ჯანდაცვის ბაზარი, დარჩებიან თუ არა კერძო სადაზღვევო კომპანიები, როგორც მოთამაშეები ბაზარზე? - ამ კითხვებზე თვითი აუცილებელ უწყებას პასუხი ჯერ არა აქვს. როგორც ცნობილია, ჯანდაცვის რეფორმას განიხილავენ მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის ექსპერტები და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები.

2013 წლის ივნისამდე, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, პენსიონერებს, სტუდენტებს და ბავშვებს ისევ კერძო სადაზღვევოები დააზღვევნ. თებერვლის ბოლოდან ამოქმედდება ფონდი, რომელიც თავდაპირველად სოციალური სააგენტოს ბაზაზე იფუნქციონირებს, ივლისიდან კი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება.

შესაძლოა, ბაზარზე ფონდმა და კერძო სადაზღვევო კომპანიებმა ერთად იმუშაონ. სადაზღვევო კომპანიები დააზღვევნ იმ მოსახლეობას, რომელსაც აქამდეც აზღვევდნენ, არამოგებიანი ფონდი კი ორ მილიონ ადამიანს დააზღვევს. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა „ლიბერალთან“ საუბრისას განაცხადა, „არავინ არ ამბობს, რომ ეს სეგმენტი მთლიანად სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიებმა უნდა აითვისონ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უფრო ეფექტურად გაართმევს თავს საქმეს. ბოლოს და ბილოს, ჩვენი მიზანი ხომ კარგი შედეგია?“

ერთომანაბი შესერთვაში 100 ლა

საგარეო ურთიერთობების კუთხით, საქართველოს ახალ მთავრობას საკმაოდ სუსტი დებიუტი ჰქონდა. ხელისუფლების წარმომადგენლების რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავმა საჯარო განცხადებამ და დაუგეგმავმა პოლიტიკურმა სკლებმა დასავლეთის თვალში ქვეყნის იმიჯს ჩრდილი მიაყენა.

გიორგი გოგუა

გასული წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოში მიმდინარე პროცესებს საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად აკვირდებოდა. დასავლეთი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, როგორ წარიმართებოდა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების პროცესი, რაც, თავის მხრივ, ქვეყნაში დემოკრატიის დონის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ოქტომბერში გამოჩენდა, რომ საქართველომ პირველი გამოცდა – არჩევნები წარმატებით ჩააბარა, რის გამოც საერთაშორისო საზოგადოება ოპოზიციაში დარჩენილ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს მაღლობას უხდის.

ახალ ხელისუფლებას დასავლეთის ნდობის მოსაპოვებლად ბევრი მუშაობა სჭირდება. ამ შერივ, კველაზე მნიშვნელოვანი, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისა და პოლიტიკური კურსის განსაზღვრაა.

წინა ხელისუფლება მთავარ პრიორიტეტად, ევროატლანტიკურ აღიანსში ინტეგრაციას და ევროპასთან დაბლოებას მიიჩნევდა. დღეს უკვე ახალმა ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს ქვეყნის უცხოელ პარტნიორებს, რომ თბილის კვლავინდებურად პროდასავლურ კურსს ინარჩუნებს.

თუმცა, ჩანს, რომ ახალი მთავრო-

ბისთვის ეს არცთუ იოლი ამოცანაა. მეტიც, საგარეო პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ივანიშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლად რჩება.

ახალმა ხელისუფლებამ, ამ სამი თვის მანძილზე ვერ მოახერხა, ზუსტად განესაზღვრა და ჩამოეყალიბებინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ არჩევნებში გამარჯვებამდე აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან ერთად, ქვეყანა აქტიურ დასავლურ ვექტორს შეინარჩუნებდა, უმაღლესი სახელისუფლებო პირების ზოგიერთი განცხადება საფუძვლიან კითხვებს აჩენს.

ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ბაქო-ყარსის რეინიგზის მშენებლობა „ბადავებს“ და ამ საკითხს აზერბაიჯანში ვიზიტისას განიხილავდა. „შესაძლოა, ჩვენს მეგობარ ქვეყანას რბილად ავუხსნათ, რომ რაღაც ეტაპზე ეს, შესაძლოა, ჩვენთვის არ იყოს სასარგებლო და დარეგულირება სჭირდება.“

პრემიერ მინისტრმა ეს განცხადება აზერბაიჯანში ვიზიტამდე გააკეთა, რაც იმას ნიშავს, რომ საკითხი ბაქოსთან ჯერ განხილულიც არ ჰქონდა. ეს ნაბიჯი ხელისუფლების ერთ-ერთი პირვე-



ბიძინა ივანიშვილის და ილჰამ ალიევის
შეხვედრა, ბაქო, იანვარი 2013

ლი დიპლომატიური შეცდომა იყო, რის გამოც პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს მოგვიანებით, თავისი სიტყვების უკან წალება მოუხდა. აზერბაიჯანის მთავრობასთან დახურული შეხვედრის დეტალები მედიისთვის უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბაქო-ყარსის რეინიგზის შესახებ თავისისავე განცხადებას „ნაჩქარევი“ და „პოლიტიკურად გაუმართავი“ უწოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, სომხეთში ვიზიტისას, ბიძინა ივანიშვილმა აფხაზეთის გავლით რუსეთისაკენ რკინიგზის გახსნის მზადყოფნა გამოთქვა – „თუ ყველა მხრიდან ამის ნება იქნებოდა“.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ პოლიტიკურ კონტექსტში, ეს განცხადება, სრულიად ეწინააღმდეგება ბა-

■ „ახალმა

**ხელისუფლებამ, ამ
სამი თვის მანძილზე
ვერ მოახერხა, ზუსტად
განესაზღვრა და
ჩამოეყალიბებინა ქვეყნის
საგარეო პოლიტიკური
კურსი.**

ქო-ყარსის მაგისტრალის არსებობას. ბაქო-ყარსის მაგისტრალი ევროპის მიმართულებით ბევრად მოკლე გზაა, ვიდრე აფხაზეთის გავლით ტრანსციმბირულ მაგისტრალთან დაკავშირება. ამიტომაც, ამ მაგისტრალით აზიდან ევროპისაკენ ტრანზიტული მიმოსვლისას საქართველო საკანძო ქვეყანა გახდება, შესაბამისად, გაიზრდება მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც. ამავე დროს, ჯერჯერობით არ არის ცხადი, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს სომხეთ-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენამ, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთზე გაივლის.

გარდა ამისა, პრემიერ მინისტრის მიერ სომხეთში გაკეთებული განცხადება პირდაპირ არღვევს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს

კანონის“ მე-6 მუხლის გ1 ქვეპუნქტს: „[ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია] სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა“.

საბოლოოდ, პრემიერის მხრიდან აფხაზეთზე გამავალ რკინიგზაზე საუბარი კიდევ ერთ „გაუაზრებელ“ და „პოლიტიკურად გაუმართავ“ განცხადებას უფრო ჰგავდა – მით უმეტეს, მანამდე ამ იდეის შესახებ ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ არაფერი თქმულა.

რა არის საქართველოსთვის პრიორიტეტი? რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, თუ ევროინტეგრაციის პროცესის გაძლიერება? ივანიშვილის მთავრობა აცხადებს, რომ ქვეყნისათვის ორივე მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერვერობით, კონკრეტული პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია, რითაც ეფუქტურად სარგებლობენ პოლიტიკური ოპონენტები.

დასავლეთთან ურთიერთობაში ორი თვის წინ უკვე დაფიქსირდა უარყოფითი პრეცედენტი. ევროატლანტიკური ალიანსის სამხედრო კომიტეტის ვიზიტი, რომელიც წოებერში უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამას წინ უძღვიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გიორგი კალანდაძის დაკავება, რამაც ლოგიკურად გააჩინა ეჭვი, რომ ნატოს მაღლი რანგის ვიზიტის გადადება სწორებად ამ ფაქტს უკავშირდებოდა.

დასავლეთი ასევე მტკიცნეულად აღიქამს წინა ხელისუფლების ნარმომადგენლების დაპატიმრებებს. 29 წოებერს ჰილარი კლინტონმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯაივაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე ელჩის გამოწვევა სურს, რომელთა ნაწილსაც როტაციის ვადა გასდის, თუმცა, სულ მცირე ცხრა ელჩია, რომელსაც სამინისტრო პრეზიდენტ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გატარებამი ადანაშაულებს. რამდენიმე დიპლომატმა, მათ შორის, აშშ-ში საქართველოს ელჩმა, თემურ იაკობაშვილმა და გაეროში – ალექსანდრე ლომაიამ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თავადვე გააკეთეს გადადგომის შესახებ განცხადება. თუმცა, ხელისუფლების არგუმენტების მიუხედავად, მმართველობაში მოსვლიდან ორ თვეში ამდენი დიპლომატის ერთდორულად გამოწვევა და გათავისუფლება გვაფიქრებინებს, რომ ეს გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულია.

დეკემბერში საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო მდინარე მოადგილე დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში, ტომას მელია სტუმრობდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სამართლებრივი პროცედურების სწორად წარმართვა მნიშვნელოვანია: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობას ესმის ეს მოწოდებები“. ბევრად მკაცრი იყო აშშ-ის სახელმწიფო მდინარეს თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ფილიპ გორდონი: „თუ ეს ისე გამორჩება ან იქნება მხოლოდ იმისთვის გაკეთებული, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგების დევნა მოხდეს, ან თუ ეს მოხდება გაუმჯობესებულება, მაშინ ამისთვის მთელ ქვეყანას მოუწევს ფასის გადახდა.“

ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების თვალში, შესაძლოა, კითხვის ნიმუშები გააჩინოს ახალი ხელისუფლების მიერ ელჩების გამოწვევამაც. 4 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯაივაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე ელჩის გამოწვევა სურს, რომელთა ნაწილსაც როტაციის ვადა გასდის, თუმცა, სულ მცირე ცხრა ელჩია, რომელსაც სამინისტრო პრეზიდენტ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გატარებამი ადანაშაულებს. რამდენიმე დიპლომატმა, მათ შორის, აშშ-ში საქართველოს ელჩმა, თემურ იაკობაშვილმა და გაეროში – ალექსანდრე ლომაიამ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თავადვე გააკეთეს გადადგომის შესახებ განცხადება. თუმცა, ხელისუფლების არგუმენტების მიუხედავად, მმართველობაში მოსვლიდან ორ თვეში ამდენი დიპლომატის ერთდორულად გამოწვევა და გათავისუფლება გვაფიქრებინებს, რომ ეს გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულია.

ევროპასა და აშშ-სთან ურთიერთობაში შეიძლება მორიგი გაურკვევლობა პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური ნარმომადგენლის დანიშვნამაც გააცნოს. ერთი მხრივ, ამ ფაქტის ცალსახად უარყოფითად განხილვა არ შეიძლება, თუმცა, ჩნდება კითხვა – რა

როლს ანიჭებს საქართველოს ახალი მთავრობა შენევის პროცესს? „სარკოზის 7-პუნქტიანი გეგმის“ მიხედვით, სწორედ ეს იყო ის ფორმატი, სადაც მართალია, საკმაოდ არაეფექტურად, მაგრამ მაინც განიხილებოდა საქართველო-რუსეთის კონფლიქტი. მნიშვნელოვანია, რომ ამ ორი ქვეყნის გარდა აქ ჩართულები იყვნენ ეუთო, ევროკავშირი, გაერო და აშშ. ახალმა მთავრობამ კი ახალი ფორმატი ჩამოყალიბა, სადაც თბილისი და მოსკოვი პირისპირ დარჩებიან. რუსეთის ნარმომადგენელი კარასნი ორივე ფორმატის მოლაპარაკებებია ჩართული: ესწრება შენევის მოლაპარაკებებს და ამავე დროს პირისპირ საუბრობს ზურაბ აბაშიძესთანაც.

ჯერჯერობით უცნობია, რას მოიტანს ასეთი გაორება: ერთი მხრივ, საქართველომ, ფაქტობრივად, შესაძლებლობა მისცა რუსეთს, გაეკეთებინა ის, რაც 2008 წლის შემდეგ სურდა – ნარემართა მოლაპარაკებები საერთოშორისო საზოგადოების ჩართულობის გარეშე. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხელისუფლებამ კარგად უნდა ახსნას და დაასაბუთოს, თუ რა ფუნდამენტური სხვაობაა ამ ორ ფორმატს შორის: თუ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ რუსეთი ქართული პროდუქციისათვის ბაზარის გახსნის, უნდა გავიხსნოთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ რუსეთი ისედაც ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია დასავლეთის ჩართულობა. რუსეთი საქართველოთი განსაკუთრებულ დაინტერესებას არასოდეს მაღლავდა. შესაბამისად, მოსკოვისათვის საქართველოსთან ურთიერთობა შუამავლების გარეშე ბევრად ხელსაყრდელია.

ახალ ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ სუსტი დებიუტი ჰქონდა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ბევრი რამ შხოლოდ რიტორიკის დონეზე და მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯები არ გადადგმულა. საქართველოსა და დასავლეთის მომავალი ურთიერთობა კი სწორედ ამ ნაბიჯებზეა დამოკიდებული. **¶**



ივანიშვილი - 100 დღე თანამედრობაზე

როგორ დასაწყისი, მაგრამ არც ერთი მარცხი.

სილვია შტიობერი

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ მსოფლიო კარგი ახალი ამბით გააკვირვა. დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი პარტიის დამარცხება აღიარა და უზრუნველყო ქვეყნის მართვის სადაცელის მშვიდობიანი გადაბარება ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის, „ქართული ოცნებისათვის“.

დაიწყო გამოსაცდელი ვადა, უპირველესად, კოპაბიტაციის მხრივ, რაც ნებისმიერი განვითარებული დემოკრატიისათვის კავკასიის დასავლეთ ნაწილში ასევე დიდი გამოწვევა იქნებოდა. მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა მოიპოვა შესაძლებლობა, საკუთარი თავი და თავისი პოლიტიკური პროგრამა საერთაშორისო ასპარეზზე წარმოეჩინა. აյ მას ამ დრომდე რეალურ ძალად ძნელად თუ აღიქვა-

მდნენ; როგორც პოლიტიკოსი საზღვარგარეთ აქამდე არასდროს გამოჩენილა და მხოლოდ ცოტას თუ ჰქონდა გათვლილი, რომ მისი პარტია გაიმარჯვებდა.

შეკითხვებს რამდენიმე ცნობილი ფაქტი აჩენდა: მილიარდერი, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში, 90-იან წლებში დააგრივა, როგორ მიუდგებოდა დემოკრატიის საკითხს, რუსეთთან ურთიერთობასა და საქართველოს დასავლეთთან დაახლოების წლების წინ დაწყებულ პროცესს?

პაატა ზაქარიეშვილის, თეა წულუკიანისა და ირაკლი ალასანიას დანიშვნამ ევროპელი დიპლომატების მიერ აღიარებას ხელი შეუწყო, ისევე, როგორც რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის დანიშვნამ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ივანიშვილის გა-

დაწყეტილება, თავისი პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ ოქტომბერში ბრიუსელში განეხორციელებინა.

პრემიერ მინისტრი ბრიუსელში დიდ უნდობლობას წააწყდა, რაც სააკაშვლის მიერ განვითარებული წინასწარი კამპანიითაც იყო განპირობებული. პარალელურად პრეზიდენტს წატოსა და ევროკავშირის წარმომადგენლიბთან ჰქონდა შეხვედრა და წლების მანძილზე დაგროვებულ კონტაქტებს, პირველ რიგში, კონსერვატორ პოლიტიკოსებთან ევროპული სახალხო პარტიის (EVP) ფარგლებში, იმისთვის იყენებდა, რომ გაევრცელებინა თავისი კრიტიკული ხედვა ახალი მთავრობის მუშაობის შესახებ.

ბრიუსელში ვიზიტმა დაძაბულობის განმუხტვი შესაძლებელი გახადა. ამას მოწმობს, მაგალითად, ნატოს გენერალური მდივნის, რასმუსენის განცხადებათა

შინაარსებს შორის განსხვავება ივანიშვილთან, ალასანიასა და ფანჯიკიძესთან შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ. რასმუსენმა გამარჯვებულ მხარეს მართლმასჯელების ფრთხილად განხორციელებისკენ მოუწოდა, შემდგომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ პრეზიდენტს და მთართეველ ძალას წარმატებული ერთობლივი მუშაობისათვის გზები უნდა მოექცნათ.

აღიარებასთან ერთად ასევე წამოიწია ის საკითხიც, რომ საქართველო და რუსეთი დაახლოებისათვის პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ სავაჭრო ურთიერთობის მეშვეობით და, ასევე, შედგა შეხვედრა აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინს, შორის. მისასალმებელია აგრეთვე ისიც, რომ ძველი და ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა შიდა მოლაპარაკებების ჯაფუფის შეხვედრის დროს, რომელიც უწევაში დევემბერში გაიმართა, ერთობლივად კარგად იმუშავეს.

უცხოეთის ყურადღება მიიქცია აგრეთვე წლის დასაწყისში გამოცხადებულმა ამნისტიამაც. ამგვარად, გერმანიის მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის წარმომადგენლი, მარკუს ლიონინგი მიესალმა თითქმის 3000 დაკავშული ადამიანის გათავისუფლებას და საჯელის შემსუბუქებას 10 000-ზე მეტი პატიმრისათვის. მან განსაკუთრებით დადებითად შეაფასა ის, რომ მთავრობამ და პარლამენტმა ამნისტიის კანონზე დეტალურად იმსჯელეს და პროცესში ჩართეს ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც.

ამასობაში ახალი ეჭვების საფუძველი ხელისუფლების იმ გაუგებარმა გამონათქმამებრა და გზავნილებმა შექმნა, რომლებიც ახალი მთავრობილი ძალის დემოკრატიზე ორიენტირებას, სულ მცირე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ასე, მაგალითად, ბუნდორინა, კონკრეტულად, რას გეგმავს ივანიშვილი ტელემაუწყებლობა „მეცხრე არხისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებელისათვის, უბრალოდ დიდსულოვანი ჟესტია, თუ გეგმავს შერწყმას, იმისათვის, რომ მეცხრე არხიდან პირდა-

■ საქართველოსთვის

**მხოლოდ და მხოლოდ
ხელსაყრელი იქნება,
თუ იგი თავს საიმედო
პარტნიორად წარმოაჩენს,
არა მხოლოდ ავღანეთში
ნატოსთან ალიანსისას, არამედ მთელ რეგიონშიც. სხვა ყველაფერთან ერთად ირანის მეზობლად ქვეყნის მდებარეობაც ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რის გამოც იგი საერთაშორისო ყურადღებას იძყორდს.**

მოსალოდნელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება და პრეზიდენტი იბამა ორიენტაციის აღებას წყნარი ოკეანისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით განაგრძობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპისაგან სამომავლოდ უფრო და უფრო მეტად უმყარდება მოლოდინი, რომ იგი საკუთარ კართან კონფლიქტებს თავად მიხედავს. თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოგვიყვანოთ მილიტარისტული შენართები ლიბიასა და მალიში, რომლებსაც ევროპული ქვეყნები ხელმძღვანელობენ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კი მხოლოდ მხარდაჭერას იღებენ.

ასე რომ, დასავლეთ ევროპელი დაბლომატები და ექსპერტები სამი თვის შემდეგაც კვლავ სიფრთხილეს იჩინენ ივანიშვილის შეფასებისას. კომუნიკაციის პრობლემების მოგვარებას ხელს შეუწყობდა, სულ მცირე ისიც, თუ პერმიერ მინისტრი ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო მრჩეველებს მოუხმობდა კონსულტაციებისთვის. ასევე საქართველოს რეპუტაციისათვის არც ის ფაქტორია მიმებებიანი, თუ როგორი ინტენსივობით წარმოჩინდება ქვეყნის შიდაპოლიტიკური დავა საერთაშორისო ტრიბუნაზე; როგორც, ეს მაგალითად, ევროსაბჭოს წინა კვირის სხდომაზე სტრასბურგში მოხდა.

პოლიტიკურ ასპარეზზე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს საქართველო არ ჩამორჩება, თუმცა, იმის შესაძლებლობაც აქვს, რომ წინ წავიდეს. მაგალითად, 2012 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს, მოლდოვაში პეტრი ვიზიტი, რაც დიდი პატივი და ამასთანავე, მკაფიო სიგნალი იყო დანარჩენი სუთი ქვეყნისათვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, რადგან ამჟამად მოლდოვა მათ შორის ყველაზე მეტი წინსვლით გამოირჩევა.

ასე რომ, საქართველოსთვის მხოლოდ და მხოლოდ ხელსაყრელი იქნება, თუ იგი თავს საიმედო პარტნიორად წარმოაჩენს, არა მხოლოდ ავღანეთში ნატოსთან ალიანსისას, არამედ მთელ რეგიონშიც. სხვა ყველაფერთან ერთად ირანის მეზობლად ქვეყნის მდებარეობაც ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რის გამოც იგი საერთაშორისო ყურადღებას იძყორდს. მოსალოდნელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება და პრეზიდენტი იბამა ორიენტაციის აღებას წყნარი ოკეანისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით განაგრძობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპისაგან სამომავლოდ უფრო და უფრო მეტად უმყარდება მოლოდინი, რომ იგი საკუთარ კართან კონფლიქტებს თავად მიხედავს. თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოგვიყვანოთ მილიტარისტული შენართები ლიბიასა და მალიში, რომლებსაც ევროპული ქვეყნები ხელმძღვანელობენ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კი მხოლოდ მხარდაჭერას იღებენ.

ევროპა ასევე თვალყურს ადევნებს პირველ რიგში ჩრდილოაფრიკის განვითარების საეჭვო და დამაფიქრებელ დინამიკას, ისევე, როგორც - ახლო და შუა აღმოსავლეთისას. კარგი იქნებოდა, საქართველოს შეეძლოს რუსეთთან, სოხუმსა და ცხინვალთან ურთიერთობების მოგვარება დემოკრატიისა და დასავლეთისაკენ აღებული გზის გადავევების გარეშე. ეს საქმეს შეამსუბუქებდა და მაშინ საერთაშორისო კონფლიქტების გრძელ სიაშიც ერთით ნაკლები პრობლემა იქნებოდა.

იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მოსახლეობამ გადაწყვეტილება იმ პარტიის სასარგებლოდ მიიღო, რომელსაც კონსერვატივული და ნაციონალი ამბიციური პოზიცია აქვს წავიდეს და ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით, ვიდრე სააკაშილის პარტიას, საქართველოს შეუძლია, დემოკრატიზაციის პროცესში ევროპისაგან დიდი მხარდაჭერის იმედი პეტრიდეს. ეს ასევე იმ ფაქტორზეც იქნება დამოკიდებული, დაინტერესობული გზის თუ არა ხელისუფლება სამართალდამცავი და სოციალური სისტემისა თუ აგრარული სექტორის შეპირებული რეფორმების განხორციელებას. **ც**

0008 iOS-080308



ԱՊՐԵՆԱԾՈՒՅԹ - ՁԵՎՃԱ ՀՅԱՅ ՈՒՅՅԵՑԻ ԱՌԱՋԱԿԱՆ iPhone, iPad ՈՅ կամ iPod Touch-8Հ

0300ъз з09а3060зшд0:

www.lit.ge

00162-iOS-05-0306 სასახლოებას გადავიცნო მარტინად 0300600000 lit-te-l 5926200 თა 2016000000 013356b iPhone, iPad და iPod Touch-ზე

ԱՅՍՊՐԱՎԵՐԸ ՁԱՎԱՐՄԱՆ ՀԱՆԴԻՇԱ, Ֆ-43260 ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՀԱՆԴԻՇԱ, ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ - "JOTA READER"

The logo for lit.ge, featuring the word "lit.ge" in a white, lowercase, sans-serif font. The letter "l" is positioned inside a teal-colored rounded square frame.

საქართველოს პრიუნის 100 წლები

საქართველოში კულტურა, როგორც ეგზისტენციური არსებობის ფორმა, ჯერ კიდევ გამოუვალ და კრიზისულ მდგომარეობაშია. კულტურის სამინისტრომ 100 დღე სტრუქტურის ჩამოყალიბებას მოახმარა.

დავით ბუხრიკიძე

არცთუ ბედერული საბჭოთა ტრადიცია კულტურას პოლიტიკის მხატვრულ „დამატებად“ განიხილავდა. მაგალითად, ბრეჟენევის ეპოქის საბჭოთის კულტურის მინისტრის, ლეგენდარული ეკატერინა ფურცელას ფრაზა – „მე არ ვინ კულტურის მინისტრი, მე ვარ მინისტრი კულტურაში“, დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა არა თვალსაჩინო საბჭოთა ირონიად, არამედ საქმიან და სერიოზულ მოწოდებად. პოსტაბჭოთა საქართველომ უამრავი ასეთი „მინისტრი კულტურაში“ გამოიცვალა: ნოდარ წელეისკირი, ვალერი ასათიანი, დავით მალრაძე, სესილა გოგიძერიძე, გოგა გაბაშვილი, ნიკა რურუა...

კულტურული „ვწებებით“ დატვირთულ დიდ და არეულ პლატფორმაზე სულ ბოლოს „ოცნების“ მატარებლიდან გადმოსული მწერალი და თვითიერი ადამიანი, გურამ ოდიშარია ვიხილეთ. ახალმა ხელისუფლებამ სავარაუდოდ. მას „კულტურის ფრონტი“ რამდენიმე მიზნით ჩააპარა: პირველი პოლიტიკის უკავშირდება, კონკრეტულად კი აფხაზეთს და სახალხო დაპლომატიას (მხედველობაში მაქვს მისი კონტაქტები და ლიტერატურული ნაწარმოები „ზღვა, რომელიც შორის“); გარდა ამისა, ის თვითიერი, არაკონფლიქტური და სამართლებულების ადამიანია. არც კონტაქტების დამყოლი უჭირს, თუმცა სიახლითა და ინვაციური მიდგომებით მაინცა და მაინც არ გამოირჩევა. ამ ფუნქციებს, ძირითადად, მისი მოადგინე, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის უფროსი, მარინე მიზანდარი ითავსებს.

ხელისუფლების განვლილი ასი დღე თოქოს სიმბოლური ნიშნულია, რომლის მიღმა ისევ ნაცრობი კონტურები იყითხება – საქარ-

თველოში კულტურა, როგორც ეგზისტენციური არსებობის ფორმა, ჯერ კიდევ გამოუვალ და კრიზისულ მდგომარეობაშია. კულტურის სფეროს თითქმის ყველა რგოლში მოუწესრიგებლობაა – ადმინისტრაციის უუნარობისა და არაორგანიზებულობის მონმენი თითქმის ყველადოურად ვხდებით: თავად კულტურის სამინისტროში, თეატრალურ უნივერსტეტში, სამსატვრო აკადემიში, ოპერისა და ბალეტის თეატრში...

არსებითი ისაა, რომ სერიოზული რეფორმებია გასატარებელი ზოგადად კულტურის სფეროში; საჭიროა, გასაგბი, დასაბუთებული და არტიულირებული საუბრები სწორედ რეფორმის მნიშვნელობაზე, კონცეფციებზე, ახალი ხედვით გამორჩეულ ადამიანებზე და არა პერსონების ნინააღმდეგ მიმართული კრიტიკა და ხშირად უნაყოფო განსჯა-რეფლექსიები. ნინააღმდეგ შემთხვევები ისევ ნინააღმდეგობის მოძრაობის მაგარ, კონტრ-კულტურის მოდურ და ანარქისტულ გამოსალებს უნდა ველიდოთ... მით უმეტეს, ბატონ მეჩითოვის სკანდალისა და ხათუნა ხუნდაძის არანაკლებ ხმაურიანი ისტორიის გამო, რომელიც „ფეისბუქზე“ მის გამონათქვამებს უკავშირდება. თუმცა, შევეძვათ კონკრეტული პერსონებისადმი წაყვეტულ პრეტენზიებს და გაცილებით სერიოზულ საკითხებს დაუბრუნდეთ.

გასაგებია, რომ ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბების პირობებში კულტურის სამინისტროს ყველაზე რთული „ორსულობა“ ჰქონდა, მისი ახალი შემადგენლობაც, ანუ კაბინეტი პასუხისმგებლობას ვერ ასცდება: მაგალითად, რატომ არ გამოქვეყნდა ამ დრომდე კულტურის განვითარების თუნდაც ზოგადი კონცეფცია? სად და რაში აისახება



ქართული კულტურის დღები.
სუხიშვილების გამოსვლა, სტრასბური, დეკემბერი 2012

სამინისტროს პრიორიტეტული მიდგომები? რატომ ვერ მოხერხდა სამხატვრო აკადემია-სა და თეატრალურ უნივერსიტეტში სიტუაციის განმუხტვა? რატომ გაათავისუფლეს „წარმატებული პროექტების ავტორი“ დავით საყარაულები პრერებისა და ბალეტის თეატრის დირექტორის თანამდებობიდნ? რატომ ვერ დასრულდა კონფლიქტი რუსთაველის თეატრში და როგორ მოხდა, რომ ფაქტობრივად, სპეციალურად რობერტ სტურუასათვის სამინისტრომ შექმნა კანონი, რომელიც მას თეატრის მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის შეთავსების საშუალებას აძლევს?

ცალკე ისტორიად შეიძლება განვიხილოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელის, ნიკა ვაჩეიშვილის საქმეც, რომელსაც წლების გამარტინებში წარმატებული იმიჯი ჰქონდა.

„ჩევნ შეფასებებსა და ხედვებში ძალიან დიდი სხვაობაა. მაგალითად, სამინისტროს მიჩინია, რომ ბაგრატის ტაძარი არ უნდა გაეთებულიყო, მე კი ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ დღეს ბაგრატი ნანგრევი არ არის. სამინისტრო რესტავრაციების მიმართ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებში გვადასაშუალებას, ეს მაშინ, როცა 700-მდე ძეგლი სწორედ რომ დროული ჩარევით ვიხსენით დანგრევებისგა...“ – ეს ბატონ ვაჩეიშვილის მოსაზრებაა, რომლის ადგილას სამინისტრომ უკვე დანიშნა ძეგლებისა და ლირსშესანიშნავი ადგილების



შეხვედრა კინემატოგრაფისტებთან კულტურის სამინისტროში

အောက်ဖော်လုပ်မှုများကို ပြည်တွင် ပေါ်လေ့ရှိ သူများ၏ အကျဉ်းချုပ်များ

საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, არქიტექტორი და რესტავრატორი მერაბ მერაბ ბოჭოძე.

სკანდალი დღემდე არ ცხრება სამხატვრო
აკადემიაშიც. პროფესორ-მასწავლებელის
ნაწილი აცხადებს, რომ ნოემბერში ხუთგა-
ცაანი საბჭო ფარულად შეიკრიბა და საბჭოს
ხუთი წევრიდან სამსი გადაწყვეტილებთ,
ირინა პოპაშვილი რექტორობის თანამდებო-
ბიდან უკანონოდ გათავისუფლა. მის ადგილ-
ზე კი დიზაინის ფაკულტეტის დეკანი თანა
კლდიაშვილი დანიშნა. სამხატვრო საბჭოს და
აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრუ-
ლებლის, თინა კლდიაშვილის შხარდამჭერთა
განცხადებით კი ირინა პოპაშვილი ყოფილი
კულტურის მინისტრის ნიკოლოზ რერეუას
მეგობარი და მისივე დანიშნული იყო. შესა-
ბამისად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტების
ნაწილი ირინა პოპაშვილის რექტორობას, ნა-
წილი კი რექტორის თანამდებობის მოვალეო-
ბის შემსრულებლის, თინათხ კლდიაშვილის
დაზოვებას ითხოვს.

დღემდე არანაკლებ მტკიცნულია ძველი
თბილისის თემა, რომლის გამოც გუდამშვა-
ლის მოყდანი, კალისა და აბანოთუბნის რეს-
ტაციურაცა კვლავც განხევტილების გაშლად
რჩება. საგულისხმოა, თუნდაც თბილისის
მერის შეფასება, რომელიც მან ჯერ კიდევ
გასული წლის ნოემბრებში დაეკმატერში, კულტუ-
რის სამინისტროში გამართული არქიტექტირ-

- კულტურის სფეროს ყველა რგოლში მოუწესობებულობა – ადმინისტრაციის უუნარობისა და არაორგანიზებულობის მოწმენი თითქმის ყოველდღიურად ვხდებით.

რესტაურანტის თავდების შემდეგ
გამოიტვა: „ჩენ იქ ვნახეთ ხალხი, რომელიც
ბოლო 40 წლის განმავლობაში ტრადიციუ-
ლად, ყოველთვის ასეთ დროს იკრიბდა და
ცდილობს, საზოგადოების გარკვეული აზრი
გამოხატოს. იყო ისეთი ნანილიც, რომელსაც
გულეროველად უყვარს ძველი თბილისა და
ახლა ცდილობს მომენტის დაჭრას, რადგან
ჩენი გაეკითხული რაღაც არ მოსწონს... მა-
გრამ, სამწევაროდ, ძირითადი სულისკვეთება
იყო თალღაბანური. ჩემი პასუხი ძალიან მარ-
ტივია – ძველი თბილისა არ არის რომელიმე
შენობა, ესაა ერთანი ქსოვილი.“

კულტურის სამინისტრო ვერც თაობათა კლასიკურ კონფლიქტს გადაურჩა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მისულ კინძმალოგრაფისტებს (სულ ათასდე სპეციალისტებს), რეჟისორებს, ეროვნული კანონცენტრისა და სამინისტროს წარმომადგენლებს კინოს გან-

ვითარების გეგმებისა და პროიორიტეტების შესახებ უნდა ემსჯელათ, თუმცა უკვე და-მკიოდებული „ქართული ტრადიციას მემკვი“, მსჯელობა ცხარე კამათში გადაიზარდა. რე- უსიორ გიორგი შენგელაიძასა და ეროვნული კონცენტრის დირექტორის, თავი ტატიშვი- ლის ლამის იდეურ-კლასიკური დაპირისი რე- ბა კიდევ ერთი თავსატეხას, რომლის გადა- ჭრაც კულტურისა სამინისტროს მოწერეს.

მოკლედ, ბოლო დროის პოლიტიკურმა ცვლილებებმა ქართული საზოგადოება მორიგ გზაგასაყარზე დააყენა. არჩევანი ქართული კულტურის განვითარების ტენდეციებსაც ეხება, რაშიც სახელმწიფოს ინსტიტუტების როლი განუზომლდა დიდა. **ც**

"წვეყანა ფასლება იმით, თუ ჩობოს უვის ბმისის, მათ ოჯახებს ეს ვესახანებს"

თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ვეტერანთა პრობლემების გადაჭრის, მათი საჭიროებების დადგენისა და სოციალური უფლებების დაცვისთვის ახალი სამთავრობო კომისია შეიქმნა.

გიორგი ჭეიშვილი



აზოვი მოწოდებულება

კომისიამ, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენტო ხელმძღვანელობს, მუშაობა 2013 წლის 12 იანვარს დაიწყო.

ახალი კომისიის შექმნასთან დაუკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირალი ალასანიამ განმარტა, რომ სპეციალური სამთავრობო კომისიის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მთავრობამ 2012 წლის 13 დეკემბერს მიიღო, ვეტერანთა უფლებების კანონით დაცვის მიზნით კი, კომისია უახლოეს პერიოდში მთავრობისთვის შესათავაზებელ წინადადებებს მოამზადებს; ასევე, მომზადდება მთლიანი საკანონმდებლო ბაზა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ვეტერანთა უფლებების დაცვა და როგორ უნდა მოწესრიგდეს ეს საკითხი სტრუქტურულად.

„კონკრეტულ შეთავაზებებს კომისია აღმასრულებელ ხელისუფლებას ნარუდგენს, რომელიც, თავის მხრივ, ამ საკითხების ინიცირებას პარლამენტში კანონმდებლის სახით მოახდენს. ...ქვეყანა ფასდება იმით, თუ როგორ უვლის ის საკუთარ გმირებს, რმში

■ ვეტერანთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა. ქვეყნის პირველი პირის პრეზიდენტი, მანანა მანჯაგალაძემ აღნიშნა, რომ კანონპროექტის მომზადების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ ავღანეთში, ჰელმან-დის პროვინციაში ახალ წელს ყოფნისას ისაუბრა.

დალუპულ გმირებს, მათ ოჯახებს და ვეტერანებს" – განაცხადა ირალი ალასანიამ.

ვეტერანთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაუკავშირებულ ინიციატივას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა. ქვეყნის პირველი პირის პრეზიდენტი, მანანა მანჯაგალაძემ აღნიშნა, რომ კანონპროექტის მომზადების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ ავღანეთში, ჰელმან-დის პროვინციაში ახალ წელს ყოფნისას ისაუბრა.

2013 წლის 17 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებას ახალი საკანონმდებლო ინიციატივები გააცნო, მათ შორის მესამე კანონპროექტი, რომელიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგება, სამხედრო მოსამახურებებისათვის სოციალური გარანტიების შექმნას შეეხება.

„გთავაზობთ, რომ ყველა სამხედრო მოსამახურის ოჯახის წევრებს, რომელიც დაიღუპება, მიუხედავად იმისა იყო თუ არა ოჯახის მარჩენალი, მიეცეს პენსია სამხედრო პენსიის იდენტით და არა მხოლოდ ერთვერადი კომპენსაცია, როგორც ეს დღეს ხდე-

ბა. სახელმწიფოს ამის საშუალება დღეს უკვე აქვს, რამდენიმე წლის წინ კი არ ჰქონდა. ასევე, გაორმაგდეს სამხედრო პენსიები და მინიმალური ზღვარი იყოს სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის ორმაგი. ვინაიდან 90-იან წლებში ეს კომპენსაცია იძენებად მცირე იყო, რომ ბევრი ვეტერანი ჩვეულებრივ სახელმწიფო პენსიაზე გადავიდა, მათ უნდა შეეძლოთ ისევ სამხედრო პენსიაზე გადმოსვლა“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, პენსიაზე გასვლამ, სამხედროს სახელმწიფო ან სხვა სამსახურში მუშაობაში ხელი არ უნდა შეუშალოს, ამავდროულად მას უნდა შეუნარჩუნდეს პენსიაც.

„ამის ფული დღეს ბიუჯეტში არის, რის ფინანსურ დასაბუთებასაც ჩვენ წარუდგენთ მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. აი, ეს არის ის წინადაღებები, რომელიც მე გადავეცი პარლამენტს, იმედია რიგგარეშე განხილვისთვის“, ალიშანა საქართველოს პრეზიდენტმა.

თავდაცვისა და უშმიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის თქმით, ვეტერანთა უფლებების დაცვის საკითხის დარეგულირება რომელი პროცესია, რადგან ქვეყანას პენსიაზე დალიან ბევრი ვეტერანი, რომლებსაც საქამაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მათ შორის სოციალური და დასაქმების კუთხით; ასევე, აუცილებელია მათ მიმართ პატივისცემის გამოხატვის ფორმების შემუშავება.

„სახელმწიფო კომისიის პირველ სხდომაზე სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა. საკითხი ძალიან მგრძნობიარება და შევთანხმდით, რომ დასახულ მიზნებს რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა მივაღწიოთ. ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უკვე არსებობს რამდენიმე წინადაღება, თავად ვეტერანებისგანაც ბევრი შემოთავაზება მოდის. ჯამში ეს ზღვა მასალაა, ამიტომ, პირველ ეტაპზე შევქმნით სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ ინფორმაციას დაამუშავებს, შემდეგ კი, შექმნილ ვითარებასა და სავარაუდო წინადაღებებს სახელმწიფო კომისიას გააცნობს. ვეტერანთა საკითხების კომისიურად გადასაწყვეტია უახლოეს შეხედრაზე სტრატეგიის შემუშავებას დავიწყებთ“, განარტავს ირაკლი სესიაშვილი.

თავდაცვისა და უშმიშროების კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტის ინციდატივასაც გამოიხმაურა და ალიშანა, რომ პოზიტური შედეგის მომტანი ნებისმიერი წინადედება მისასალმებელია, თუმცა ეს არ უნდა იყოს პრობლემის კონტექსტიდან მიღმა მოგარებაზე გათვლილი პიარ აქცია.

„რამდენად იყო ადეკვატური ეს განცხადება იმ პრეზიდენტისგან, რომელმაც ახალ წელს მშვიდობიანი ვეტერანები დაარბია, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა კი ამას გამართლება მოუძებნეს?! ბოუ-



ვეტერანები სრულად იგნორირებულები ვიყავით, უნდობლად გვეიდებოდნენ და ყოველი შემდეგი მინისტრი შრომისაუნარიანი ვეტერანების გათავისუფლებით იწყებდა მოღვაწეობას.

კეტი უკვე დამტკიცებულია და სოციალური პაკეტის ერთი მიმართულებით გაზრდით თანასწორობის პრინციპს დავარღვევთ. ვთვლით, რომ ვეტერანთა საკითხების დარეგულირებისთვის კომპლექსური პროგრამა უნდა შევიმუშავოთ, საჭიროა გავნეროთ გრაფიკი და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამ გრაფიკის მიხედვით განვაზღვროთ სახელმწიფოს მხრიდან ვეტერანთა მხარდაჭერა ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯანდაცვა, სოციალური პრობლემები, სიმბოლური თარიღებისა და კულტურული აღნიშვნები და ასე შემდეგ“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეტერანთა ლეგიონის“ თავმჯდომარე, მალაზზ თოფურია ერთ-ერთია იმ ვეტერანთაგან, რომლებიც 2011 წლის 3 იანვარს, გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაუკულთა მემორიალურ დაფასთან გამართული შიმმილობის აქციის დამლისას დააკავეს.

გალაზა თოფურია 2011 წლის აქციას იხსენებს და ამბობს, რომ შიმმილობა სპონტანურად დაიწყებს, სახელმწიფოსაგან კი მეტ ყურადღებასა და პატივისცემას ითხოვნდენ.

„ეროვნული გვარდის სანაცვეზე დალუპული მეომრების სურათები ვაპოვნეთ, რაც ჩვენთვის აღმაშფოთებელი იყო და შიმმილობა გადავწყვიტეთ. ეს კიდევ ერთი ფაქტი იყო იმისა, თუ როგორ გვიყურებდა ხელისუფლება ჩვენ, ვეტერანებს. სრულად იგნორირებული ვიყავით, უნდობლად გვეიდებოდნენ და ყოველი შემდეგი მინისტრი შრომისაუნარიანი ვეტერანების გათავისუფლებით იწყებდა მოღვაწეობას. ალბათ, სხვადასხვა იდიოზურ მინისტრებს არ მოსწონდათ ომის ვეტერანები, ისევე, როგორც პრეზიდენტის. ცდილობდნენ ჩვენი აქციები სხვადასხვა ჯგუფის პროტესტისთვის მიეუთვებინათ, ხან პოლიტიკურია, ხან სოციალური. შეურაცხოფა მოგვაყენს, პრეზიდენტმაც თქვა, ნუგზარ წიებურმაც და ვასტანგ ბალავაძემაც, თურმე მემორიალს ვპილნავდით!“ – იხსენებს „ვეტერანთა ლეგიონის“ თავმჯდომარე და იმედოვნებს, რომ გაუდერებული ინიციატივების ფონზე არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდება.

„მჯერა, რაღაც შეიცვლება, თუმცა რეალობა ის არის, რომ ვეტერანების, თუნდაც სამსახურიდან უკანონოდ გაყიდების ალდეგენის პროცესი არ დაწყებულა, იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ტენდენციაც შეიცვლება“, ამბობს მალაზზ თოფურია.

ვეტერანთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ სახელმწიფო კომისიაში სამუშაო ჯგუფი უკვე შევეძრა უახლოეს მომავალში იგეგმება. ❶

ከኢትዮ 3ኛአዲስ አበባ ይጠበቃል ይህንን የሚከተሉትን ተግባር ነው?

საქართველოში დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკუდილიანობის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს ისევ აღემატება

თინა ყიფშიძე

საქართველოში ბოლო ათი წლის განმა-
ვლობაში დედათა და ჩილი ბავშვთა სიკუდი-
ლიანობის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ
შემცირდა და ევროპის ქვეყნებს საშუალო
მაჩვენებელს მიუახლოვდა. 2000-2011 წლე-
ბში დედათა სიკუდილიანობა ყოველ 100
000 ცოცხალდშობილზე 49.2-დან 27.6-მდე
შემცირდა.

2000 წელთან შედარებით, ერთ წლამდე ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი განახულებულია. 2000 წელს ყოველ 1000 ცოცხლდან დაბადებულ ბავშვზე ჩვილთა სიკვდილიანობა 21.1 იყო, 2011 წელს ეს რიცხვი 11.0-მდე დაცა.

თითქმის განახევრებულია ჩვილ ბავშვთა (ერთ წლამდე) ანალოგიური მაჩვენებელი და თუ 2000 წელს ყოველ 1000 ცოცხლად დღბადებულ ბავშვზე ჩვილთა სკვდილანობა 21.1 იყო, 2011 წელს ეს რიცხვი 11.0-მდე დაეცა. განახევრებულია 5 წლამდე ბავშვთა სკვდილანობის მაჩვენებელიც, 24.9-დან 12-მდე.

მარენებლების განახვრება, სავარაუდოდ, ქვეყნის ზოგადი განვითარების თანმდევრია. ბოლო წლების სტატისტიკით შემცირებულია სამედიცინო დანესტულების გარეთ მშობარობა და მშობარობის 99,8% სამშობარო სახლებში მიიღეს. ასევე გაიზარდა ორსულობის პერიოდში მინიმუმ 4-ჯერ კონსულტაციებზე მისულთა რაოდენობა (81,6%).

უდავი პროგრესის მიუხედავად, საქართველოში დედათა და ბავშვთა სიკუდილიანობის მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ჯერ კიდევ მაღალია. „გაეროს ბავშვთა ფანდის“ ჯანდაცვის სპეციალისტის თამარ უგულავას თქმით, მაჩვენებლების განახევრება უფრო მარტივია, ვიდრე განახევრებულის კიდევ უფრო შემცირება.

“ქვეყანას დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობის შემცირების კუთხით სულ რომ



არაფერი გაეკეთებინა, ეს მაჩვენებელი ქვეყნის განვითარების პარალელურად აუცილებლად მოიკლებდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობში ეს მაჩვენებლები ტალღისტებურად მერყეობს და მნიშვნელოვნად არ იცვლება. ყველაზე რთული სწორები ამ სტაგნაციის დაძლევაა. – „ლიბერალთან“ საკარისისას აჩბობს თამარ ერისონაც.

სტანციასთან ერთად საქართველოში დედათა და ჩივილ ბავშვთა სიკვდილანობის მიზეზები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სიკვდილიანობის მიზეზებს ზუსტად არ ემთხვევა. თუ 2011 წელს დედათა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტი (44%) ეკლამპსია/პრეეკლამპსიაზე მოდის, მსოფლიოში დედათა სიკვდილანობას უმეტესწილად სისხლდენა ინვენეს. ასევე თუ ბავშვთა სიკვდილანობის მიზეზი მსოფლიოში მათი მცირე წონაა, საქართველოში ამის მიზეზი პერიოდაგალურ (მშობიარობის) დროს შემჩნილი პრობლემება.

საყურადღებოა საქართველოში საკეის-რო კვეთების განსაკუთრებით მაღალი რა-ოდენობა. 2010 წელს საკეისრო კვეთების რაოდენობა 1000 ცოცხალობილზე ეკრო-პის, ეკროკაფირის და ყოფილი საბჭოთა

კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი
საქართველოშია. ო.ლუდუშაურის სახელო-
ბის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამე-
ცნო განყოფილებს უჯროსი მიმუკა ნეშანე
მიიჩნევს, რომ საკეისრო კვეთების ასეთი მა-
ღალი რაოდენობა ბუნებრივი არაა და თავის
მხრივ გართულებებისა და გარდაცვალების
მეზობელის შეიჯავს.

დარგის სპეცილისტებს მიაწინათ, რომ
დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილინობის
მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად კომპლექ-
სური მიღებომაა საჭირო.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,
2011 წელს 5 წლამდე 691 ბავშვის გარდა-
ცვალების შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან
634 ერთ წლამდე ასაკში გარდაცვალა. 643
ბავშვიდან 500-მდე ერთი თვის ასაკში. ამა-
თგან ორი მესამედი პირველ ერთ კვირაში
გარდაიცვალა. სტატისტიკული მაჩვნეობლის
მიხედვით, ყველაზე კრიტიკული პერიოდე-
ბია პირველი კვირა, პირველი თვე და ერთი
წელი. სწორედ ამიტომ ექსპერტებს მიაჩ-
ნიათ, რომ კონცეტრირება ამ პერიოდებზე
უნდა მოხდეს. დედათა და ჩვილთა ჯანმრ-
თელობისითვის არანაკლებ მნიშვნელოვანი
თავად ორსულობის პერიოდია. საქართვე-

ლოში მკაფიოდ მობილთა რაოდენობა თითქმის ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი. თამარ უგულავას აზრით, ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ორსულობის დროს მეთვალყურეობა სწორად არ ხორციელდება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მიზეზი ხშირად ეკლამისია. „ორსულობის პერიოდში ეკლამების დროულად აღმოჩენის შემთხვევაში მისი მართვა და რისკის მნიშვნელოვანილად შემცირება შეიძლება.“ – ამბობს უგულავა.

თამარ უგულავას აზრით, რისკების თავიდან ასაცილებლად ორსულობის მთლიანი 1000 დღიანი პერიოდის სწორი მართვაა საჭირო.

„ასოლუტური ფიზიოლოგიური ორსულობის დროსაც შეიძლება გართულებები ნარმობიშვას და ფიზიოლოგიური ორსულობა რისკიან იმულობრივი და გადაიქცეს. ასეთ დროს არა თუ პაკეტი, კლინიკაც კი არ არსებობს, რომელიც რისკიანი ორსულობის მართვას შეძლებს“ – ამბობს უგულავა.

სახელმწიფო ორსულობის პერიოდში ექიმთან 4 ვიზიტს აფინისებს.

ოთხჯერ ვიზიტი მხოლოდ ფიზიოლოგური, გართულებების გარეშე მიმდინარე ორსულობის დროსაა საქართვის, მაგრამ თუ ორსულობა რისკს შეიცავს, მაგრინ დამატებითი ვიზიტები და სერვისებია საჭირო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით ორსული კონსულტაციაზე მინიმუმ ითხვეულ უნდა მივიდეს. „50 ლარია ანტენატალურ პერიოდზე გათვალისწინებული, რაც რა თქმა უნდა არასაკმარისია და მხოლოდ 4 ვიზიტს ითვალისწინებს. ის რომ ორსულობის პერიოდის მეთვალყურეობა გამართული არაა, ამაზე მკაფიოდ მართვის მარტინის მაჩვენებელიც მიუთითებს. ასევე, მშობიარობის დაფინანსებასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩვილის ერთკვირიანი პერიოდიც.“ – ამბობს უგულავა

ბავშვს ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად განვითარების პირობები უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი. უგულავას აზრით, სახელმწიფო ავადიბას პრევენციის გზით უნდა ეპრძოლოს. „მშობელს უნდა ასწავლო როგორ ამოცნოს პრევენცია და დროულად ირეაგიროს მასზე. ესაა საზოგადოების ჯანმრთელობის ხელშეწყობა. მშობლის

განათლება სახელმწიფოს მოვალეობაა“ – ამბობს ის.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალმა შემადგენლობამ დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯი სამი კვირის წინ გადადგა. შეიქნა დედათა და ჩვილ ბავშვთა

■ შეიქმნა დედათა

და ჩვილ ბავშვთა

სიკვდილიანობის

შემსწავლელი საბჭო,

რომელიც ჯანმრთელობის

დაცვის მინისტრის

ხელმძღვანელობით

იმუშავებს.

ლი დედის გარდაცვალების შესწავლა. ეს დამსჯელი ხასიათის საქმიანობა არ იქნება, ჩვენ გვჭირდება ექსპერტული შეფასება - რამდენად სწორად მოხდა მშობიარობისა და ლოგინობის პერიოდის მართვა.“

მარიამ ჯაში ნორმატიულ და მოსახლეობის დონეებზე გასასაჩარებელ ცვლილებებზე საუბრობს. ნორმატიული დონე ეროვნული გზამკვლევებისა და კლინიკური პრაქტიკის პროტოკოლების დახვეწას და დანერგვას მოიცავს. ამაშივე იგულისხმება დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის რეგისტრაციის გაუმჯობესება და ყველა დაწესებულებიდან სამინისტროსათვის გარდაცვალების შემთხვევების დროულად მოწოდების მოთხოვნა.

ინსტიტუციური განვითარება რეფერალური სისტემის დანერგვას გულისხმობს. კლინიკების სხვადასხვა დონეებად დაყოფა ორსულობისა და მშობიარობის გართულების შემთხვევების უკეთ მართვას უზრუნველყოფს.

„ინსტიტუციურ დონეზე ორსულთა, მშობიარეთა და მელოდიურეთა სამედიცინო დაწესებულებების რეგისტრაციულზაცია უნდა მოხდეს, დაიყოს სხვადასხვა დონეებად, განისაზღვროს მათი კრიტერიუმები და მოხდეს რეფერალური სისტემის ანყობა. ორსულობის გართულების იდენტიფიკაციისთანავე კი, დაუყოვნებლივ მოხდეს მისი ზედა დონის პოსპიტალში გადაყვნა,“ – განმარტავს მარიამ ჯაში..

რაც შეეხება მოსახლეობის დონეზე გასატარებელ ცვლილებებს, აქ პრიორიტეტია მათი განათლებისა და დავადების, ნორმიდან გადაცდომის შემთხვევების ამოცნობის უნარის ამაღლება.

მარიამ ჯაშის თქმით, მომავალში დედათა და ჩვილთა სერვისების გამრავალფეროვნებაც დადგება დღის წესრიგში.

2015 წლამდე საქართველოს „ათასწლეულის განვითარების პროგრამის“ მიხედვთ, დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემსწავლელი საბჭოს შექმნისა და სიკვდილიანობის უკეთ აღრიცხვის პირველადი შედეგი სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა შეიძლება აღმოჩნდეს. მისი თქმით, „კომისიის ერთი მიმართულება იქნება არსებული სტატისტიკური მონაცემების უფრო დეტალური ანალიზი და ანალიზის საფუძველზე სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვა და მეორე, თითოეუ-

თბილისის გამზანების თაობის

გმირთა მოედანზე და ვაკე-საბურთალოს ახალ გზაზე დაკიდულ ყვავილებში მერიას
ასობით ათასი ლარი აქვს გადახდილი

ანი ჭანკოტაძე



ფოთი ლევან ჭანკოტაძე

თუ ამ დრომდე გულმოდგინედ არ დაკვირვებითარო, ვერ შეამჩნევდით, რომ ვაკე-საბურთალოს ახალ გზაზე მძლოლებისა და ავტომობილების მგზავრებისთვის სივრცის ესთეტიკურ გაფორმებაზე ქალაქის მერიამ განსაკუთრებულად იზრუნა. სამანქანო გზების შუა ნაწილში განათების თითოეულ ბოძზე საგანგებოდ გაკეთებულ სამაგრებზე

ყვავილების ქოთნებია დაკიდული. ქოთნებში სამფეროვანი ჰიბრიდული იები ყვავის.

დაკიდული ქოთნებია დამონტაჟებული გმირთა მოედნის ესტაკადაზეც, სადაც ჭრელ-ფოთოლა სუროების გახარებას ცდილობენ. ბუნებრივია, ქალაქის მცენარეული საფარის გამრავალფეროვნება პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა, საინტერესოა, რატომ გადაწყვი-

ტა მერიამ ძეირადლირებული პროექტების დაფინანსება, რომლის მიზანიც უბრალოდ გზატკეცილების დეკორატიული გაფორმებაა.

მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში „ლიბერალს“ უთხრეს, რომ სამანქანო გზებზე დაკიდულ ყვავილებს დეკორატიული დატვირთვა აქვს, ქალაქის ესთეტიკური იქრა-სახის გაუმჯობესებას ემსახურება და ანალოგიური დეკორატიული გამწვანების ნიმუშები მსოფლიოს ბევრ ქალაქში გვხვდება.

მართლაც, ქუჩის გასაფორმებლად ყვავილებს ბევრგან იყენებენ. მოედნებსა და ვიწრო ქუჩებში აივნებზე გადმოკიდული ფერად-ფერად აყვავებული პეტუნიებისა და გერანიების ფოტოებს ეკრობის პატარა ქალაქები თითქმის სავიზიტო ბარათად მიიჩნევენ. თუმცა, სამანქანო გზატკეცილებზე, სადაც ფეხით მოსიარულები თითქმის არ დადიან, ავტომობილებიდან ყვავილები არ აღიქმება. თანაც, მანქანების მავნე გამონაბოლქის ჭვარტლსაგან იაუჯუნას ჰიბრიდულ სახეობებს ჰაერის განმენდა თითქმის არ შეუძლია. ამიტომაც, მათი დანიშნულება მერიის განმარტების მიუხედავად, გაუგებარია.

„შეუმჩნეველი“ ასობით ათასი ლარი

„ლიბერალმა“ მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის მიერ 2011 წელს გამოცხადებული ტენდერების დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოაჩინა, რომ გზატკეცილების, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი დეკორატიული გაფორმება ქალაქის ბიუჯეტს ასობით ათასი ლარი უკდება.

მაგალითად, 2011 წელს დასაკიდი საყვავილე ქოთნების მონტაჟსა და მოვლა-პატრონიბაში, რომლის ნიმუშიც ვაკე-საბურთალოს გზაზე დაკიდული ჰიბრიდული იყბია, მერიამ 105 680 ლარი გადაიხადა. გმირთა მოედანზე განთავსებული მარადმწვანე მცოცავი მცენარეების - ჭრელფოთოლა სუროების ნერგების შესყიდვა, დარგვა და პატრობნობა კი 108 195 ლარი დაჯდა.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის მიერ გამოცხადებული ორივე ტენდერი შპს. „გრინსერვისმა“ მოიგო, ისევე, როგორც 119 210 ლარიანი ტიტების შესყიდვისა და დარგვის ტენდერი.

შპს „გრინსერვისის“ დირექტორი კობა ხარშილაძეა, ძველი თბილისის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე და ზურაბ უვანიას დაცვის ყოფილი უფროსი. ხარშილაძესთან

ერთად, კომპანიის მფლობელია ლაშა ფურცევანიძეც, თბილისის მერის, გიგი უგულავას ყოფილი მოადგილე და ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი.

„გრინსერვისი“ მედიის ყურადღების ქვეშ 2012 წლის აპრილში მოექცა, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ სატენდერო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ „გრინსერვისმა“ ბარათაშვილის ქუჩაზე 120 კვიპაროსის დასარგავად მერიის 220 ათას ლარიანი ტენდერი მოიგო. მაშინ მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელმა, გიორგი ქორქაშვილმა „ლიბერალს“ სიტუაცია ასე აუხსნა: „თითო ნერგის კონკრეტულ თანხას ხარჯთალრიცხვის გარეშე ვერ გამოვყოფ, მთლიანად პროექტი 225 000 ლარი დაჯდა, ამაში შედიოდა როგორც ნერგების ღირებულება, ისე მოსამახდებელი სამუშაოები, ქვაფენილის ამოღება, ნიადაგის მომზადება და სხვა საკმაოდ რთეული სამუშაოები. ნერგის სიძვირე კი იმან გამოიწვია, რომ ეს საკმაოდ მაღალი ჯიშის ნერგებია, თითოეული დაახლოებით 4,5 – 5 მეტრის სიმაღლისაა. თანაც ნერგი, რომელსაც თქვენ ერთ ნერგად აღიქმეთ, რეალურად, ერთად შეზრდილი 3 ნერგია.“

მოგვიანებით, თბილისის მერმა, გიგი უგულავამ აღიარა, რომ „გრინსერვისმა“ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი მოვალეობა არაკეთილსინდისიერად შეასრულა და კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა. თუმცა, კვიპაროსების დარგვის შესახებ ტენდერი მხოლოდ ერთ-ერთია იმ ტენდერებს შორის, რომელშიც „გრინსერვისმა“ გაიმარჯვა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, 2010 წლიდან 2012 წლის გაზაფხულამდე „გრინსერვისმა“ თბილისის მერიისგან 4 მილიონის ღირებულების ტენდერები მოიგო. „გრინსერვისმა“ გააფორმა ბათუმის ბულვარი, რიყის პარკი და ა.შ.

„გრინსერვისის“ გარდა გამწვანების სამსახურის 2011 წლის სატენდერო დოკუმენტაციაში ქალაქის დეკორატიული გაფორმებისთვის მსხვილ ტენდერებს იგებენ სხვა კომპანიებიც, მაგალითად, ვარკეთილის მე-3 რაიონში პოლიციის მე-8 განციფრებისა და ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-2 განციფრების ტერიტორიაზე „მწვანე თარგების“ მოვლა-პატრონობის მომსახურება ქალაქის მერიამ „შპს ლოტოსისგან“ 221

799 ლარად შეისყიდა, ისანი-სამგორის პოლიციის რაიონულ სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე „მწვანე თარგების“ მოვლა პატრონობა კი – 46 336 ლარად ასევე „შპს. ლოტოსისგან“. 339 898 ლარი დაუჯდა ქალაქს კახეთის გზატკეცილზე სამანქანო გზებს შორის მიწაყრილისა და გზების გასწვრივ მწვანე ზოლების სარწყავი სისტემა 2011 წელს.

ეს ციფრები მეტყველებს, რომ ქალაქის მერიისთვის გამწვანება პრიორიტეტი უნდა იყოს.

როგორია ქალაქის გამწვანება სინამდვილეში

არქიტექტორი და ურბანისტი, ლადო ვარდოსანიძე თბილის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებადგამწვანებულ ქალაქიდ მოიხსენიებს. იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში მერიის გამწვანების სამსახური სხვადასხვა პროექტებში საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს, სინამდვილეში პროექტების უმრავლესობა არ აისახება ქალაქის გამწვანების ზრდაზე და პროექტების ნაწილს მხოლოდ დეკორატიული და სადაც ესთეტიკური ღირებულება გააჩნიათ. ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავების ფართობის მაჩვენებელი კი, ექსპერტების შეფასებით, ბევრად ჩამორჩება სტანდარტს. მერიის გამწვანების სამსახურს ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ფართის მაჩვენებელი კერჯერობით გამოთვლილი არ აქვს და აცხადებს, რომ მონაცემები უახლოეს მომავალში დაიდება.

„მცენარე ქალაქში თავისებური ფენომენია. არსებობს ურბოფონი და ურბოფილი მცენარეები“ – ამბობს ლადო ვარდოსანიძე. ის აღმაშენებლის გამზირზე ჭადრების გაჩეხვას იხსენებს და თვლის, რომ ამ შემთხვევაში ხეების გაჩეხვის შესახებ მერიის გადაწყვეტილება ნამდვილად სწორი იყო, რადგან ჭადრები იმ ურბანულ გარემოს არ შეფერებოდა და სხვადასხვა პრობლემას ქმნიდა, თუმცა ურბანისტის აზრით, ზოგადად, ქალაქებმარებასა და გამწვანებაში ბოლო წლებში მერიის გადაწყვეტილებების უმრავლესობა არაპროფესიონალურია და შეუძლებელია მსგავსი გადაწყვეტილებები იმ დარგების სპეციალისტებს მიეღოთ, რომლებიც, წესით, უნდა ხელმძღვანელობდნენ მსგავს პროექტებს. ასეთ პროექტებში ლადო ვარდოსანიძე მზიურისა და ზოოპარკს შორის, ტერიტორიაზე ვაკე-საბურთალოს



■ „გმირთა მოედნის შემთხვევაში მერიამ საკითხი ტექნოკრატიულად, მანქანების, და არა ადამიანების, სასარგებლოდ გადაწყვიტა. აქ საერთოდ ამოკვეთილია ქვეითის თემა, არადა თანამედროვე ქალაქის ცხოვრება ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანზე პირველ რიგში, და არა ავტომობილზე“ – მიმიჩევს ქალაქმგეგმარებელი.

სამანქანო გზის გაყვანასაც გამოყოფს. ურბანისტი ამბობს, რომ ამ მოქმედებამ არამარტო მდინარე ვერეს ხეობა და მრავალნიანი ნარგავები გაანადგურა, არამედ ჩაკლა გმირთა მოედანი, როგორც ქალაქის ცენტრი და სატრანსპორტო კვანძად აქცია, რის კომპენსირებასაც ქოთნით დაკიდული მცენარეებით ვერ მოახდენენ.

„სიმართლე გოთხვათ, ეს უბრალოდ ცუდი გემოვნება მგონია. დასავლეთშიც შეხვდებით დაკიდულ მცენარეებს, მაგრამ არა ასეთი მასშტაბით და არა სამანქანო გზებზე, სადაც ადამიანები არ დადიან.“ – ამბობს ლადო ვარდოსანიძე და ხაზს უსვამს, რომ გმირთა მოედნის თემატიკაში ზოგადად, ადამიანები არ არიან გათვალისწინებული. ამიტომ, გარემოს დეკორატიული გაფორმების მცდელობა გაუვებარი ხდება.

„გმირთა მოედნის შემთხვევაში მერიამ საკითხი ტექნოკრატიულად, მანქანების, და არა ადამიანების, სასარგებლოდ გადაწყვიტა. აქ საერთოდ ამოკვეთილია ქვეითის თემა, არადა თანამედროვე ქალაქის ცხოვრება ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანზე პირველ რიგში, და არა ავტომობილზე“ – მიმიჩევს ქალაქმგეგმარებელი.

ორგანიზაცია „შაფე შპაცე თბილის“-ის წარმომადგენელი, ანა გაბრიაძე ამბობს, რომ გამწვანებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მოტივი ზოგ შემთხვევაში კონკრეტული კომპანიების მიერ ანაზღაურების ადგება. ამის მაგალითად გაბრიაძე მრავალნიანი ხეების მოჭრას ასახელებს მაშინ, როდესაც ამ ხეების გადარჩენა და მკურნალობა უფრო იოლი დაჯდებოდა, ვიდრე მოჭრა. მართლაც 2011 წელს თბილისის მერიას 167 370 ლარის მომსახურება აქვს შესყიდული შპს „თბილისი ანან და გიორგისაგან“ ხეების მოჭრისა და გატანის მიზნით.

ანა გაბრიაძე ამბობს, რომ თბილისის მერიას სინამდვილეში უფლება არა აქვს ქალაქის გამწვანებისათვის რაიმე ტენდერი გამოაცხადოს, რადგან ზოგადი აგროსტანდარტიც კი არ აქვს შემუშავებული. „2011 წელს სასამართლოში გვქონდა განხილვა და მერიამ აღიარა რომ აგრონორმა არა აქვს – ეს ნარმოუდენელი რამება, იგივეა, რომ სამშენებლო ნორმა არ იყოს დადგენილი და მშენებლობაზე გამოაცხადონ ტენდერი,“ – ამბობს გაბრიაძე. **ც**

Կոչե շաբաթ 11:20
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

PRESS-ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



Առաջնային համարը

tv 9

„ჩვენი მკერლი არ იქნინა“

იუსტინა მელნიკიევიჩი

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო სასამართლო დარბაზში განაჩენს ელოდებოდა, როდესაც ოთხი წელს ზემოთ შიშველი ქალი კიევის მთავარი სავაჭრო ცენტრის მეორე სართულის ფანჯრებზე აძვრა. მათ თავი ტენტებზე მიიბეს, ხელში პლაკატები ეკავათ და ადამიანებს დაუინებით მოუწოდებდნენ, ტვინი აემუშავებინათ. ფანჯრებთან შეერებილი ხალხის ნაწილი გოგონებს ტაშს უკრავდა, ნაწილი კი ლანძღავდა.

ეს იყო ტიპური რექცია უკრაინული ფემინისტური ჯგუფის Femen-ის გამოსვლაზე. ეს ჯგუფი ცნობილი წელს ზევით შიშველი პროტესტით გახდა. ანა ჰუცოლის 2008 წელს დაარსებული ჯგუფი, ამჟამად ოც „შიშველ“ აქტივისტსა და 300-მდე მხარდამჭერს აერთიანებს, რომლებიც აქტივისტებს ეხმარებიან – აქციების რეკვიზიტების დამზადებაში თუ იურიდიული კონსულტაციების განევაში. ანა ჰუცოლის მსგავსად, აქტივისტების უმეტესობა 20 წელზე ოდნავ უფროსაა, ძირითადად – უკრაინის სხვადასხვა პროვინციიდან. ზოგს აქვს უმაღლესი განათლება, ზოგიერთი მათგანი კი სტუდენტია.


Femen-ის აქტივობები ძირითადად ადამიანის იმ უფლებებს ეხება, რომლებიც თავის მხრივ ქალთა უფლებებზე ახდენს გავლენას, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური მასშტაბით. იუმორი კი მათი საქმიანობის უმთავრესი ელემენტია, მხიარულება და თვითირონია ხომ უფრო იოლი აღსაქმელია, ვიდრე ხანგრძლივი შეხვედრები და სიტყვით გამოსვლები.

კიევში 2011 წლის ოქტომბერში ჩავედი, მინდოდა ამ ქალებისთვის ფოტოები გადამელო და მათთან ინტერვიუები ჩამენერა.

მაინტერესებდა რა აძლევდათ საიმისო მოტივაციას, რომ ყოფილიყვნენ მკეთრად პროვოკაციულები და რისკიანები ასეთ კონსერვატიულ და პოლიტიკურად პასიურ საზოგადოებაში. მათი პროტესტის მიზეზები და თემები, შესაძლოა, ზოგჯერ შემთხვევითიც იყოს; შესაძლოა, პროტესტის ამ ფორმამ შიშველი სხვულების გამოყენებით გაგალიზიანოთ კიდეც, მაგრამ ამ გოგონებს სწამო იმის, რასაც აკეთებენ და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას თვითონევილებენ. არიან ახალგაზრდები, ველურები, განათლებულები და ძალიან ამბიციურები.

27 წლის ანა ჰუცოლმა, შეკათხვაზე თუ რა ტიპის გოგონებს იღებდა ის Femen-ში, ასე გვიპასუხა: მათ სხვადასხვა მოტივაცია აქვთ და შესაძლოა, საერთოდაც მცდარი შეხედულებები ჰქონდეთ, მაგრამ მაინც ვრთავ ნებას შემოგვირთდნენ. არავის უუშვებუარით. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რატომ მოდის გოგო Femen-ში, რადგან ვიცი, რომ მას სწორ მოტივაციას გავუჩენთ და მის ცხოვრებაში პატარა რამეს მაინც შევცვლით. გოგო, რომელიც ჩვენს ორგანიზაციაში და ჩვენს აქტივობებში მიიღებს გამოცდილებას, არასოდეს გაებმება სექს-ტურიზმის ხაფანგში. მას ყოველთვის შეეძლება, რომ ამა თუ იმ გზით დაიცვას თავი.

ხოლო რაც შეეხება ქალების მკერდს: ფემინისტები ხშირად თავადვე იყენებენ მამაკაცურ სტერეოტიპებს. მამაკაცებმა მოგვაცვიეს თავს, რომ ქალის სხეული და მკერდი აკრძალულია. ქალის მკერდში არაფერი ამორალური არაა, მაგრამ უცნაურია, როდესაც წელს ზემოთ შიშვლები გავდივართ გარეთ, ხალხი შოკში ვარდება და გული მისდით, თოტქოს პირველად ნახეს ის.



ტატიანა ზეცერკოვნა (22 წლის). კოსტიუმი წარწერით – არაა ფოტოგები, არაა დემოკრატია. ხოლო ფოტოაპარატი იარაღის მსგავსად აქვს მომარჯვებული:

საქართველოში ხუთი უურნალისტი დააპატიმრეს, მათ შორის პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი. უურნალისტებს ბრალი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდეს, მიუ-

ხედავად იმისა, რომ დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონდათ. ბევრმა უურნალისტმა მოგვმართა ჩვენ დასახმარებლად და ჩვენც მხარი დავუჭირეთ მათ, რადგან უურნალისტები ხშირად გვიცავენ ჩვენ (როგორც Femen-ს), მათ შორის პოლიციისგანაც კი. გარდა ამისა გვეხმარებიან, რომ ჩვენი იდეები გავავრცელოთ – ამიტომაც ამოვუდექით მათ გვერდით.



23 წლის საშა (ალექსანდრა) შევჩენკო საკუთარ ოთახში ისვენებს, ვიდრე ეროვნულ სტადიონზე პროტესტის გამო-სახატავად წავა:

სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მეშინია პოლიციის ან დაპატიმრების. ერთადერთი, რისიც მეშინია წარუმატე-

ბლობაა. როდესაც საპროტესტო მსვლელობაზე მივდივარ, ჩანთაში მხოლოდ თბილ ტანსაცმელს და წიგნებს ვიღაგებ. ციხეში სხვა არაფერი გჭირდება, მხოლოდ წიგნები და თბილი ტანსაცმელი.



25 წლის ინა შევჩენკო იულია ტიმოშენკოს ფორმაში:

„რაც შეეხება ბრალდებას, რომ ჩვენ უკრაინელი ქალის ხატს შევურაცხვყოფთ და ა.შ. – მე მგონია, რომ პირიქითაა, ჩვენ შევცვალეთ უკრაინელი ქალის ხატი და მთელს ევროპას ვანახეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან შიშველი ქალები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ, ნაცვლად იმისა, რომ შიშველი სხეული ქუჩაში 500 დოლარად გაყიდონ.

ფოტორეპორტაჟი



„ინამ ერთ-ერთ ინსტიტუტში კვლევა ჩაატარა, რომლის მეშვეობითაც ცდლობრდა, გაეგო რას ნიშნავს ახალგაზრდა გოგოებისთვის ფემინიზმი და იცოდნენ თუ არა მათ ამის შესახებ. გოგოების უმეტესობამ, მგონი 80%-მდე, უპასუსა რომ მათ ფემინისტობა არ სურდათ, რადგან უნდოდათ, რომ რესტორანში კაცებს გადაეხადათ. ფემინისტური კულტურა უკრაინაში არ არსებობს. ხალხმა არც კი იცის, რა არის ფემინიზმი“



24 წლის ანა და დედამისი, 64 წლის ყოფილი ინჟინერი თლგა სერგეევნა. Femen-ის შიშველი აქტივისტები:

თლგა: „მოვიდა დრო, როდესაც ადამიანებს მოთმინება აღარ ჰყოფნით, Femen-ის გოგონები და მე, მათ შორის ერთადერთი დედა, მოქმედებაზე გადავდივართ, ხოლო ხალხი ჩვენზე აჩერებს ყურადღებას.“

ფოტორეპორტაჟი



23 წლის საშა (ალექსანდრა) შევჩენკო დააპატიმრეს, სა-პროტესტო აქცია – „ჩართე საკუთრი ტვინი“-ში – მონაწილეობის გამო, რითაც ის უკრაინელ ხალხს დამოუკიდებელი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისაკენ მოუწოდებდა.

„დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება მარათონს

ჰგავს. არ შეიძლება, რომ თვენახევარში რევოლუცია მოახდინო, შემდეგ კი დაჯდე და იფიქრო, რომ ყველაფერი კარგად მიდის. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და ხელი-სუფლების კონტროლი.“



ევგენია კრაიზმანი, 23 წლის
„ფემინიზმი ქალების სიტყვაა, ქალების დემოკრატიაა.
ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რაღაც
მოსწონთ, რაღაც კი – არა. ასეა Femen-ის შემთხვევაშიც,
ვიღაცებს მოვწონვართ, ვიღაცებს კი არა.“ **■**

მითები და სინამდვილე ჰესების შესახებ

ხერთვისის, ფარავნის, დარიალის, მაჭახელას, ხდის, ენგურის, ნენსკრას ხეობების
ლანდშაფტებს ჰესების აშენების შემთხვევაში განადგურება ემუქრება.

ირაკლი მაჭარაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“

2008 წლის 18 აპრილს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“. ამ დადგენილების საფუძველზე 2008 წლის 23 აპრილს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა პოტენციური ჰესების ნუსხა და გამოცხადდა „ინტერესთა გამოხატვა“ ჰესების მშენებლობის მიზნით. ეს ნუსხა დაახლოებით 30-ჯერ შეიცვალა. მას ან ემატებოდა ახალი ჰესები, ან აკლდებოდა, ან იცვლებოდა ნუსხაში არსებული ჰესების სიმძლავრე.

დღეისათვის საქართველოს მთავრობასა და ქართულ თუ უცხოურ კომპანიებს შორის დადებულია 40-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და შეთანხმება მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობის თაობაზე. ზოგიერთის მშენებლობა

უკვე დაწყებულია, უმეტესობა კი, დაგეგმვის სხვა-დასხვა ეტაპზე.

თითქოს ამაში ცუდი რა უნდა იყოს – თუ არის რესურსი, ის უნდა გამოიყენო. მაგრამ პრობლემას ქმნის შემდეგი გარემოება: მდგრად, რომელიც ცოცხალი ორგანიზმია და უამრავ ეკოსისტემურ სერვისს ასრულებს, განსილულია, როგორც მხოლოდ „ენერგეტიკული რესურსი“, ტურბინის მამოძრავებელი საშუალება. იმისათვის რომ ჩვენმა არცთუ დიდმა მდინარეებმა რაც შეიძლება მეტი დენის გამომუშავება შესძლოს, ხელოვნურად, ეკოლოგიური მოთხოვნების უგულებელყოფის ხარჯზე, გაზრდილია პოტენციური ჰესების სიმძლავრე.

საქართველოში დაგეგმილი ჰესების დიდი უმრავლესობა, დერივაციული ტიპისაა. დერივაციული ჰესი – ფუნქციონირებს მცირე კაშხლით ან მის გარეშე. მდინარის ნაწილი ბუნებრივი კალაპოტიდან გადაისროლება დერივაციულ მილში ან არხში და მიემართება ელექტროგურებინებზე. ზოგადად, დერივაციული ჰესი, კაშხლიანთან შედარებით, ნაკლები მასშტაბის გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს შეიცავს, ვინაიდან არ საჭიროებს დიდი ფართობის დატბორვას, რასაც თან ახლავს იძულებითი გადასახლება, ეკოსისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყლით დაფარვა. თუმცა, დაგეგმილი ჰესების რაოდენობიდან, გეოგრაფიიდან და რაც მთავარია, პროექტების დიზაინიდან გამომდინარე, არანაკლებ საშიშროებას შეიცავენ, ვიდრე წყალსაცა-



ფოტო: მეცნიერებული აკადემია

ვიანი ჰესები. საქმე ისაა, რომ 2011 წლიდან საქართველოში ყველა დერივაციული ჰესის პროექტის დიზაინისას გამოიყენება შემდეგი მიდგომა: მდინარის მნიშვნელოვან ნაილზე ბუნებრივ კალაპოტში რჩება მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ი, ხოლო დანარჩენი წყლი დერივაციული მიღების, არხებისა და გვირაბების მეშვეობით, კილომეტრობით მანძილზე გადაისროლება ჰესისკენ.

როგორც წესი, ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშები აღიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი პრაქტიკის მიხედვით, მდინარის „სანიტარული ხარჯი“ განისაზღვრება მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ით. ასევე აღნიშნავენ, ასეთი წესი შესაბამება ევროპაში მიღებულ ნორმებს. გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტორების მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვასა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემაზე, როგორც წესი, ეთანხმება ამგვარ პოსტულატებს. ამრიგად, ბიოლოგიური მრავალფეროვნება ნადგურდება არა დატბორვის, როგორც ეს დიდაშელიანი ჰესების შემთხვევაშია, არამედ წყლის წართმევის გამო.

პრობლემას ქმნის ჰესის პროექტის განხორციელების წესიც (თანამიმდევრობა).

ინვესტორმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რაც 100 მეგავატამდე ჰესის შემთხვევაში უდრის 170000 აშშ დოლარს ყოველ მეგავატზე. ინვესტორი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულება ელექტროენერგიის 10 წლით გაყიდვაზე. შემდეგ ეტაზზე ინვესტორი და ენერგეტიკის სამინისტრო დებენ ხელშეკრულებას ან მემორანდუმს, სადაც უკვე განსაზღვრულია ასაშენებელი ჰესის პარამეტრები, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების თარიღები. მხოლოდ ამის შემდეგ ინყებს ინვესტორი გზშ პროცესს. მის მიერ მომზადებულ გზშ ანგარიშზე გარემოს დაცვის სამინისტრო წერს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტრო ან ადგილობრივი თვითმმართველობა (მცირე ჰესის შემთხვევაში) გასცემს მშენებლობის ნებართვას. ეს გარემოება – ჰესის პარამეტრების განსაზღვრა მემორანდუმით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაწყებამდე, პრაქტიკულად, აზრს უკარგავს ეკოლოგიურ კვლევას და სპობს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები აღტერნატივების განხილვის შესაძლებების შემთხვევაში, თუ ინვესტორი ვერ მოახერხებს მემორანდუმით დადგენილ დროში, მემორანდუმით განსაზღვრული სიმძლავრის ჰესის აშენებას, ის დაჯარიმდება და შეიძლება საგარანტიო თანხაც ჩამოართვას სახელმწიფომ. როგორც წესი, გარემოს დაცვის სამინისტრო დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემით „აპრავებს“ ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვესტორს შორის ხელმოწერილ მემორანდუმს.

ყველა ამ მემორანდუმში განსაზღვრული ჰესების სიმძლავრე (რომელიც ხელოვნურად არის გაზრდილი გარემოს დეგრადაციის ხარჯზე) ეყრდნობა ერთ-ერთი ქართული ორგანიზაციის მიერ USAID-ის დაფინანსებით მომზადებულ კვლევას. მასში მითითებულია, რომ USAID-ი არ აგებს პასუხს კვლევის შინაარსზე. უფრო მეტიც, USAID აღნიშნავს, ინფორ-

მაცია, რომელიც მან გადასცა ენერგეტიკის სამინისტროს მისივე თხოვნის საფუძველზე, ძალზე ზოგადია და არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ეკონომიკური ხასათის გადაწყვეტილებების მიღებისას. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები განთავსებულია ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე და მასში განსაზღვრული ჰესების სიმძლავრეები საფუძვლად ედება ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დადებულ მემორანდუმებს. ენერგეტიკის სამინისტრო წლებია იმეორებს, რომ მისი მემორანდუმები ეყრდნობა USAID-ის კვლევას და ამდენად სწორია.

მაგალითად, რა მოხდა დარიალი ჰესთან მიმართებაში – თავიდან მისი სიმძლავრე 50 მეგავატით იყო განსაზღვრული, მაგრამ რამდენჯერმე შეიცვალა: ენერგეტიკის მინისტრის 2010 წ. 17 ოქტომბრის N10 ბრძანებით, გაიზარდა 93 მეგავატამდე, ხოლო ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 12 ოქტომბრის N54 ბრძანებით – 99.9 მეგავატამდე. 2011 წლის მაისში მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით კი ჰესის სიმძლავრე 110 მეგავატია. „ლიბერალთა“ ინტერვიუში „დარიალი ენერგიის“ დირექტორმა ზურაბ ალავეძე განაცხადა, რომ 110 მეგავატამდე გაზრდა სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით მოხდა, კომპანიის სურვილი იყო 70 მეგავატანის აშენება. 110 მეგავატამდე სიმძლავრის გაზრდას სხვა შედეგიც მოჰყვა. შეთანხმება ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს, კომპანიის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების დარღვევისათვის. გადასახდელი ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა შეზღუდულია 600 ათასი აშშ დოლარით, მაგრამ ეს ვალდებულების შემთხვევაში, თუ ინვესტორი ვერ მოახერხებს მემორანდუმით დადგენილ დროში, მემორანდუმით განსაზღვრული სიმძლავრის ჰესის აშენებას, ის დაჯარიმდება და შეიძლება საგარანტიო თანხაც ჩამოართვას სახელმწიფომ. როგორც წესი, გარემოს დაცვის სამინისტრო დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემით „აპრავებს“ ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვესტორს შორის ხელმოწერილ მემორანდუმს.

■ ბიოლოგიური მრავალ-ფეროვნება ნადგურდება არა დატბორვის, როგორც ეს დიდკაშხლიანი ჰესების შემთხვევაშია, არამედ წყლის წარმოევის გამო.

შემთხვევაშია, არამედ წყლის წარმოევის გამო.

თვალსაზრისი

ბა არაა უზრუნველყოფილი საბანკო გარანტით, ან სხვა რაიმე სახის უზრუნველყოფით. უფრო მეტიც, შეთანხმებით, ზოგადად (და არამარტო ჯარიმებთან დაკავშირებით), კომპანიის ვალდებულებები საერთოდ არაა უზრუნველყოფილი, არც საბანკო გარანტით და არც სხვა სახის უზრუნველყოფით. 70 მეტავარიანი ჰესის პროექტის შემთხვევაში გარანტია 11900 000 აშშ დოლარი იქნებოდა.

ენერგეტიკული პროექტების მასობრივი განვითარების მომხრე ტექნორატები, საკუთარი შეხედულებების დასამტკიცებლად იყენებენ სხვადასხვა მოსაზრებებს, რომლებიც ემყარება არასწორ არგუმენტებს და ამ საკითხის გარშემო შექმნილ მითებს.

მითი 1. „დერივაციული ჰესის მშენებლობისას მდინარის კალაპოტში წყლის 10%-ის დატოვება არის საბჭოთა პერიოდიდან საქართველოში დამკიცირდებული პრაქტიკა და ის შეესაბამება ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებს“.

საბჭოთა პერიოდში აშენებული არც ერთი დერივაციული ჰესის მშენებლობის დროს არ ყოფილა გამოყენებული ე.წ. 10%-იანი ღიმიტი; ამგვარი ღიმიტი არ იყო დადგენილი არც ერთი ნორმატიული აქტით. მდინარის კალაპოტში 10%-ის დატოვება რომ მისადები და შეესაძლებელი ყოფილიყო, ზაჰესი იქნებოდა არა საშუალო ჰესი – 36,8 მეგავატიანი, არამედ დიდი ჰესი, მაგალითად – 150 მეგავატიანი. სამაგიეროდ, მცხეთიდან თბილისამდე მდინარე მტკვრის მაგივრად იქნებოდა მისი მეათედი სიდიდის ღელე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ლიმიტები არ არსებობს არც ევროპის ქვეყნებში და არც აშშ-ში. საქართველოში ამგვარი პრაქტიკის დამკვირდება მხოლოდ 2011 წლიდან დაიწყო. ამ შემთხვევშიც, ადგილი აქვს ე.წ. „ტენანტის მეთოდის“ (იგივე „მონტანას მეთოდი“) არასწორ ინტერპრეტაციას. შეფასების ამ მეთოდის თანახმად, მდინარეში წყლის 10%-ის დატოვების შემთხვევაში, თევზის ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური“. ამდენად, ეს მითი, რომელსაც, ინვესტორი კომპანიები და მთავრობა წარმოაჩენენ, როგორც საყოველთაოდ მიღებულ ან/და საქართველოში არსებულ პრაქტიკას, არ შეესაბამება სინამდვილეს. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს, ასეთი საპროექტო გადაწყვეტის შემთხვევაში, გაზემოზე ზეგავლენა იქნება „მინიმალური“ და „უმნიშვნელო“.

მითი 2. „დერივაციული ჰესები არ საჭიროებენ დიდ წყალსაცავებს, ამიტომ არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ბუნებისათვის, ისინი ბუნებისადმი მეგობრული ჰესებია“.

ჰესების დაგეგმვისთვის აუცილებელია მდინარეების წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემები; ასეთი მონაცემები კი, ან არ არსებობს, ან 25-30 წლის წინანდელია. შესაბამისად, არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია, რა რაოდენობის წყლის აღება იქნებოდა ოპტიმალური გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული თვალსაზრისით. როგორც აღვინეთ, ინვესტორსა და სახელმიწოდებელის შორის გაფორმებულ მემორანდუმებში გარემოს კვლევის დაწყებამდე განისაზღვრება ჰესების სიმძლავრე. ეს კი აჩენს საფრთხეს, რომ კომპანია მდინარიდან გამოიყენებს იმდენ წყალს, რამდენიც საჭიროა მემორანდუმით განსაზღვრული სიმძლავრის მისაღწევად და არა იმდენს, რამდენიც საჭიროა იყოს ბუნება შეუქცევადი დეგრადაციისგან დასაცავად.

მითი 3. „მცირე და საშუალო ჰესები არ წარმოადგენს საფრთხეს ბუნებისათვის“.

თუ ჰესი იმგვარადაა დაპროექტებული, რომ მდინარეში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ბუნებრივი ჩამონადენის მხოლოდ 10% რჩება, ნებისმიერი ზომის ჰესმა შეიძლება ეკოსისტემის დეგრადაცია გამოიწვიოს. ხშირად ჰესების მშენებლობა იგეგმება ხელუხლებელ ეკოსისტემებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პროექტების უარყოფით ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ჰესები იგეგმება არსებულ და დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე, ან მათ უმუალო სიახლოვეს (ხდე, დარიალი, მაჭახელა, ფარავნის ხეობა, კინტრიში და სხვ.).

ხდის, დარიალის, მაჭახელას და სხვა უნიკალურ ხეობებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არა მხოლოდ უსამართლო, არამედ უკანონოც არის. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ შეიძლება დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გაიცეს, თუ შემოთავაზებული საქმიანობით ირღვევა კანონი. „გარემოს დაცვის შესახებ,“ „საქართველოს „წითელი წუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ კანონების მიხედვით, აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს და სამიგრაციო გზებს, აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება. სამწუხაროდ, გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტები კანონის ამ ნორმებს ან არ იცნობენ, ან არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის.

მითი 4. „ჰესების წარმოებული ენერგია ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღებია, ვინაიდან ჰესები არ იწვევს კლიმატის ცვლილებას“.

კლიმატის ცვლილება გარემოს (ბიომრავალფეროვნების) განადგურების ერთ-ერთი ფაქტორია. ცვლილება გარემოს (ბიომრავალფეროვნების) განადგურების გაცილებით ძლიერი ფაქტორია საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, რისი შედეგიცაა დედამიწაზე სახეობების 70%-ის გადაშენების საფრთხის წინაშე დადგომა. სწორედ ამას იწვევს მდინარის მნიშვნელოვან ნაწილში ბუნებრივ კალაპოტში წყლის მხოლოდ მეათედის დატოვება. კლიმატის ცვლილებაზე საქართველოს ინდუსტრიას ნულოვანი ზეგავლენა აქვს, ამიტომ ეს არგუმენტი არის სრულიად არალევანტური.

მითი 5. „ჰესების აშენება მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისათვის“

მთავრობასა და ინვესტიონებს შორის დადგებული ხელშექრულებების/მემორანუმების მიხედვით, ჰესის მშენებელი კომპანია მისი მმართველი და მფლობელი ხდება. ჰესების გამომშენებული ელექტროენერგია განკუთვნილია საზღვარგარეთ ექსპორტისათვის. საქართველოს მხოლოდ ზამთრის სამ თვეში და თანაც საქმაოდ ძვირად მიენოდება დენი. აქედან გამომდინარე, შეიძლება, რომ როდესაც საქართველოს დასჭირდება საკუთარი საწარმოების განვითარებისათვის ჰესის აშენება, თავისუფალი მდინარე აღარ აღმოჩნდეს.

მითი 5. „ბოლო წლებში ელექტროენერგი მოხმარება ქვეყანაშიდაახლოებით 10%-ით იზრდებოდა და მომავალში ზრდის ტენდენტია კვლავგაგრძელდება“.

2001 წლის შემდეგ სახელმწიფოს არ შეუდგენია ენერგეტიკული ბალანსი; გავრცელებული მოსაზრება ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციის შესახებ, მეტად საეჭვოა და არ დასტურდება ესკო-ს ოფიციალური მონაცემებით. პირიქით, ბოლო წლის განმავლობაში შემცირდა ელექტროენერგიის მოხმარება. ცალკე შესწავლის საგანია, თუ რამდენად მომატა ხელოვნურად ელექტროენერგიის მოხმარებამ ყოვლად არაენერგოფექტური შენობების მომრავლების შედეგად. მარტო შეუძინებელი შენობას რამდენი დენი მიაქვს იმის გამო, რომ ზამთარ-ზაფხულ კონდიცირება ჭირდება.

მითი 6. „ჰესების მასოპრივი მშენებლობა მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის“.

მემორანუმით განსაზღვრული ყველა ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, საბოლოოდ დაახლობით 2000 დროებითი სამუშაო ადგილი შეიქმნება. აქედან ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ ნაწილობრივ იქნება დაქირავებული არავალიფიციურ, დროებით, დაბალანაზღაურებად სამსახურში.

მითი 7. „თუ ჰესები არ აშენდა, 2-3 წელინაში საქართველოში შეიძლება 90—იანი წლების სიბეჭდები და ბრუნდებს, ჰესების პროექტების შეჩერება ნიშნავს პროგრესის შეჩერებას, ნერგვას, წარსულში დაბრუნდებას“.

მაშინ როდესაც ვიცით, რომ 90-იანი წლების სიბეჭდები არა ჰესების ნაკლებობის, არამედ ენერგომაფიის მოღვაწეობის შედეგი იყო, როდესაც ვიცით, რომ იმ ბეჭედი 90-იანების შემდეგ პრაქტიკულად არც ერთი ჰესი არ აშენებულა და მაინც ნათელში ვართ, ასეთი მტკიცება სწორედ რომ დემაგოგია.

ერთიც მინდა ვიკითხო: რატომ არ ითვლება ნგრევად ხერთვისის, ფარავნის, დარიალის, მაჭახელას, ხდის, ენგურის, ნენსკრას ხეობების ხელთუქმნელი ლანდშაფტების განადგურება?

სამწეულო, რომ პრეზიდენტი სააკადემიული, მისი პარტიის ნევრები და მისი პერიოდიდან დარჩენილი ჩინოვნიკები ხშირად მიმართავენ ხოლმე ასეთ შედარებებს. შეიძლება ვივარაულოთ, რომ ეს არის შანგაუზი ახალი მთავრობის მისამართით, რათა „აღმშენებლობის“ კურსის გაგრძელების საბაბით, სინადვილეში გაგრძელდეს გადაწყვეტილებების

მიღების გაუმჯობერვალე პრაქტიკა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულებელყოფა. სამწეულო, ასეთ შანტაჟს აყვება ხოლმე მთავრობაც და მყისიერად აცხადებენ, რომ არათუ შეაჩერებენ ამ დესტრუქციულ პროექტებს, რასაც პირდებოდნენ ამომრჩეველს პირველ ოქტომბრმდე, არამედ უფრო დიდი მასტებითა და სწრაფი ტემპით გააგრძელებენ. და ამ ე.წ. „აღმშენებლობას“ განუკითხავად ენირება საქართველოს უნიკალური ბუნებრივი და კულტურული გარემო. ამ კოპაბიტაციის თვალსაჩინო მაგალითია დარიალის ივარყოფა. იმის ნაცვლად, რომ ახალი მთავრობა პოლიტიკურად გამიჯვნოდა მისი წინამორბედების მიერ ჩადგნილ კანონდარღვევებს, იქცა მის ადვოკატად და დასასრულა თერგის დასამარება. ჯერი ხდის ხეობაზეა... **ც**

■ ამ ე.წ. „აღმშენებლობას“

განუკითხავად ენირება

საქართველოს უნიკალური

ბუნებრივი და კულტურული

გარემო. ამ კოპაბიტაციის

თვალსაჩინო მაგალითია

დარიალის იავარყოფა.

ციტატები



„როგორც „ქართული ოცნება“ არსებობს, ასევე არსებობს ბუკიკიოს ოცნება, ეს არის მშვიდობიანი საქართველო, მე მინდა, ეს იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც ქართველებს არ ექნებათ სურვილი, ერთმანეთს ებრძოლონ, ეჩხუბონ, ვფიქრობ, ახალი პოლიტიკური პარტია ხომ არ შემექმნა საქრთველოში, ხუმრობის გარეშე კი ჩემი ოცნება მართლაა, საქართველოში იყოს მშვიდობა“ –

ვენეციის კომისიის ხელმძღვანელი ჭანი ბუკიკიო



„ამ მთავრობასთან დიალოგი პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: როდის დაამთავრებს ახალი მთავრობა აი, ამ ჩუკენობას და როდის გადავა ახალი მთავრობა რეალური საქმის კეთებაზე,“ –

თბილისის მერი გიგი უგულავა



„საქართველოს ხელისუფლებამ ციხიდან გამოუშვა ექსტრემისტი ჩახალიანი და პარალელურად იწყებს დევნას ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ახალქალაქში სეპარატიზმის საფრთხე გაანიჭრალა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა გააძლიერა. მინდა, განვაცხადო, რომ ყველა ღონისძიება, რაც სამცხე-ჯავახეთში უკანასკნელ წლებში ხორციელდებოდა, შეთანხმებული იყო ჩემთან და მე პირადად მზად ვარ, პასუხი ვაგო ამ ქმედებებზე,“ –

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი



„ადამიანს ხანდახან თავისი საყვარელი ცოლი ბეზრდება, არათუ ხალხს თავისი მთავრობა. ასე, რომ, გარკვეული დროის შემდეგ ურთიერთობის მოთხოვნილება შეიძლება ისევ გაჩნდეს. ასე, რომ, მე მგონია, ნებისმიერ დემოკრატიაში არის განვითარების ციკლი. მე ვთვლი, რომ დემოკრატია ეს არის ორი ნაბიჯი წინ და ერთი უკან“, –

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი



„თავს მოხვეულმა ID ბარათმა არაერთ ოჯახს შეუქმნა დიდი პრობლემა, თუნდაც ბავშვის აცრის ან განათლების მიღების მხრივ, და ეს პრობლემები არ უნდა დარჩეს პრობლემებად,“ –

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი



www.uchnobifm.ge



RBS



NATIONS™

2013 წლის ევროპული
2 თებერვალის
უორი გადათ კვირას

